

# პიონერში

თავისუფალი  
ბავშვობა





პიონერ-ორგანიზაციის მუშაობის შემდგომი განვითარება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება განხორციელებული მუშაობის ახალი სისტემა. ეს სისტემა გარკვეულ წარმოდგენას აძლევს თითოეულ პიონერს, თუ რა ჩვევები უნდა მიიღოს შრომის, ტექნიკის და საზოგადოებრივ-პრაქტიკული მუშაობის დარგში.

მუშაობის ახალი სისტემა ფართე გასაქმნს მისცემს ბავშვთა თვითმომქმედების გაშლას და ბავშვებს გახდის პასუხისმგებლად თავის საქმიანობაში.

პიონერ-ორგანიზაციის ბიუროები დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბიუროს მუშაობაში პიონერების ჩაბმას, რაც ბიუროს მუშაობას შორს აყენებს პიონერებისაკენ.

ამ მიმართულებით ტფილისის რაიონულმა ბიუროებმა სათანადო ნაბიჯები გადადგეს და ჩაატარეს პიონერთა რაი-კონფერენციები. პიონერთა კონფერენციების დღის წესრიგში დასმული იყო სამი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: პიონერთა ბიუროს ანგარიში ორგანიზაციის მდგომარეობის, ახალი სისტემით მუშაობისა და პიონერთა ბანაკების მოწყობის შესახებ.

კონფერენციების ჩატარების წინ ყველა კოლექტივში გაცხოველებული მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა. კოლექტივები აგროვებდნენ დამახასიათებელ მასალებს თავისი მუშაობიდან, ამზადებდნენ სხვადასხვა წრეებში და სხეულოვნობაში გაკეთებულ ნივთებს გამოფენისათვის, ამზადებდნენ სალამოებისათვის კონფერენციაზე სათანადო ნომრებს, წინასწარ შეარჩევდნენ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებს და სხვა.

„26“ კომუნარის სახელობის რაიონის ყველა კოლექტივმა შეადგინა „ნაკაზები“ რაიონული ბიუროსადმი, რომლის შედგენაშიც ყველა პიონერმა მიიღო მონაწილეობა. პიონერ-კოლექტივების „ნაკაზები“ დელეგატების მაერ წარდგენილი იყო კონფერენციაზე; წინასწარ ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობით უზრუნველყოფილი იყო კონფერენციის საქმიანი მუშაობა. აღსანიშნავია ის სიცოცხლე კონფერენციის ჩატარების დროს, რომელიც გამოიჩინეს დელეგატებმა. სახელმძღვანელო ორგანოებში არჩეული იყვნენ თვით პიონერები (პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია), რომლებიც ხელმძღვანელობდნენ კონფერენციის მსვლელობას.

პირველმა საკითხმა—რაიონული ბიუროების ანგარიშმა—გაცხოველებული საქმიანი კამათი გამოიწვია. დელეგატები აღდილებიდან აღნიშნავდნენ, რომ ჯერჯერობით კიდევ ქაბოლოდ არ არის მოგვარებული ცოცხალი კავშირი ბიუროებსა და კოლექტივებს შორის, კოლექტივების ბინების საკითხს ბიუროები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, სუსტია ხელმძღვანელობა ადგილებზე პარტიისა და კომკავშირის, სუსტად მიმდინარეობს მუშაობა ოქტომბრელებს შორის, მსუბუქი კავალერიის მუშაობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, საექიმო მუშაობა თავის სიმაღლეზე არ დგას, დღემდე მოგვარებული არ არის საკითხი სკოლის სახელოვნობის გამოყენებისა კოლექტივის მიერ, სკოლის მუშაობა ჯერჯერობით მტკიცედ არ არის დაკავშირებული პიონერთა ორგანიზაციასთან, ხელმძღვანელების საკითხი მოგვარებული არ არის, არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც ღირსი არ არიან ხელმძღვანელობის, სუსტია საბავშვო ლიტერატურის გავრცელება კოლექტივებში და სკოლებში.

26 კომუნარის სახელობის რაიონის კონფერენციამ ერთხმად აღნიშნა, რომ სომხური საბავშვო ჟურნალი „კარმელ წიღერ“ და თურქული „კიზილშეფეკი“ არ ემსახურებიან ბავშვთა ფართე მასას, დაავალეს ბიუროს დაეყენებია საკითხი ცენტრალურ და ტფილისის ბიუროების წინაშე აღნიშნული ჟურნალების რეორგანიზაციის შესახებ.

პირველ საკითხზე კონფერენციაზე 180 მეტი დელეგატი გამოვიდა კამათში. გაცხოველებული კამათი გამოიწვია კონფერენციებზე აგრეთვე დანარჩენმა საკითხებმაც—მუშაობის ახალმა სისტემამ და ბანაკების ჩატარებამ.

დელეგატებს კონფერენციაზე მოყავდათ მაგალითები, თუ როგორ ტარდება ახალი სისტემა ამა თუ იმ კოლექტივში და ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ახალმა სისტემამ საგრძნობლად გამოაცოცხლა ორგანიზაციის მუშაობა და მთლიანად აკმაყოფილებს ბავშვთა გარდაილ მოთხოვნილებას.

ბანაკობის ჩატარების გეგმა მთლიანად მოწონებული იქნა ყველა კონფერენციაზე, და დელეგატები აცნობდნენ კონფერენციებს, თუ რა მოსამზადებელი მუშაობა ტარდება ამა თუ იმ კოლექტივში ბანაკობისათვის.

პიონერთა რაიკონფერენციების ჩატარებამ ტფილისში საგრძნობლად გააუმჯობესა და გამოაცოცხლა მთელი ორგანიზაცია, ასწია ბავშვთა პასუხისმგებლობა თავისი ორგანიზაციის წინაშე, დაუახლოვა პიონერთა ფართე მასა რაიონული ბიუროების მუშაობას, განამტკიცა და გაუზიარა მუშაობის გამოცოცხლება ყველა კოლექტივს.

ასეთი კონფერენციების ჩატარებას ტფილისის ორგანიზაცია უსურვებს დანარჩენ ორგანიზაციებსაც. ანდრო კაპანაძე.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

	83.		83.
1. მამის მოვონება — ალ. ბილანიშვილის . . . . .	1	8. ლენა — ა. ჩაჩიბაიასი . . . . .	7
2. პირველი მამის გამარჯვებისა და შრომის ზეიმის დღეა — გ. აბესაძის . . . . .	3	9. ირმის ჩივილი — ლექსი — გ. ქუჩიშვილის . . . . .	9
3. საპირველმანისო — ლექსი — ვ. თურთული . . . . .	4	10. ვ ა ზ ე თ ი . . . . .	10
4. ექიმები უნდა დავეხმარონ — ე. გეგენავასი . . . . .	4	11. მეცნიერება და ტექნიკა . . . . .	13
5. საბავშვო-პიონერული კინო-ფილმის შესახებ უ. მღვანის . . . . .	5	12. რას წარმოადგენს „შობა“ და „აღდგომა“ — ისარის . . . . .	15
6. ვანო ქალაქში — ლექსი — გ. შალვაშვილის . . . . .	5	13. შის ქვეყანაში — თ. ჩერქეზიშვილის . . . . .	16
7. პურის წიგნაკების შემოღების შესახებ — სანის . . . . .	6	14. ახალი მუშაობისაკენ — ა. კაპანაძესი — გარეკანის მეორე გვერდზე.	
		15. როგორ მოვემზადოთ თვითონ ბანაკობისათვის — გარეკანის მესამე გვერდზე.	



# პიონერში

3-47.

1929

30 აპრილი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-  
ების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური  
აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV  
№ 8



დღეს პირველი მაისია. გახედეთ, ქუჩებში ხალ-  
ხი აღიდებულ მდინარესავით მოძრაობს! ეხეთქება ხალ-  
ხის ზვირთები ქუჩის ნაპირებს, რიგები რიგებს მოს-  
დევს.

შეხედეთ პიონერთა მწყობრ რაზმებს, როგორ ყო-  
ჩლად მოაბიჯებენ. ან გახედეთ ავტობუსით მქროლავ  
ოქტომბრელებს, როგორი ხალხით იყურებიან მათი  
ცოცხალი თვალები.

აი წითელარმიელებიც მოდიან, არა ნაკლებ მხი-  
არულნი.

აგერ მუშათა რაზმიც, წინ რომ ვიღაც მუშა მოუ-  
ძღვის და შავს დაკოჟრილ ხელებში უჭირავს საყვარელი  
დროშა.

მღერიან, იცინაან, და ეს ხმები იფანტება სივრცეში.  
ხალხის ტალღები ეხეთქება ტრიბუნას. ტრიბუნაზე  
დგანან მშრომელი ხალხის ბელადები, და იქიდან ისმის  
მოწოდების ხმები:

— გაუმარჯოს პირველ მაისს!..

და ამ ხმებს იმეორებენ ქუჩები, მოედნები.

დემონსტრაცია თანდათან იშლება, ხალხი სიცილ-  
სიმღერით ბრუნდება შინ. ასეთივე მხიარულები და-  
ბრუნდენ შოთა და ნუნუც.

— მამა, რომ იცოდე, რამდენი ვისეირნეთ ავტო-  
ბუსით! — კარებიდანვე შესძახა ნუნუმი.

— მეც, მამა, მეც ბევრი! — დაუმატა შოთამ.

მამამ მხიარულად გადახედა ბავშვებს.

— მე რე და, იცით, დღეს რა დღეა?

— ვიცით, მამა, პირველი მაისია.

— იცით, რომ ეს დღე მუშების სისხლითაა ნაყიდი?

ან იცით ეს ფეხი რათ მტკიავ?

ბავშვებმა მამას თვალეში შეხედეს. მათი თვალეში  
კი ამბობდენ: „არა, მამა, არ ვიცით“.

— თუ არ იცით, მაშ ყური დამივდეთ.

ბავშვები იქვე მამის გვერდით ჩამოსხდენ. მამამ  
დაიწყო.

„თვითმპყრობელობის დროს ასე თავისუფლად არ  
ვდღესასწაულობდით პირველ მაისს. ამ დღისათვის ბე-  
რი სისხლი დაღვრილა. ხომ გაგიგონიათ ნაძალადევი?

ბავშვები სდუმდენ.

ერთ დილას, როდესაც სამუშაოზე ვიყავით, ჩვეუ-  
ლებრივზე ადრე ასტენა საყვირმა განგაში. მივხვდით, რა-  
შიაც იყო საქმე, მივატოვეთ დაზგები, გამოვედით ეზო-  
ში, დაემწკრივდით და ისე გავწიეთ ნაძალადევისაკენ.  
გზაზე შეჩოგვიერთდენ სხვა მუშებიც. როდესაც ნაძალა-  
დევი მივედით, მუშების საგომლობლად დიდი ნაწილი  
იქ დაგვხვდა.

გზაზე ვხედავდით, როგორ ჩოჩქოლებდენ პოლიცი-  
ისა და ყაზახთა რაზმები, რალაცას გვიპირებდენ, და ეს  
ჩვენ კარგად ვიცოდით.

გაიხსნა მიტინგი. ჩვენ ამ დღეს ბურჟუაზიას, ქარხნის  
მებატრონეებს ბრძოლას და პროტესტს ვუცხადებდით.

— რა არის, მამა, პროტესტი? — გაუბედავად შე-  
ეკითხა ნუნუ.

— განა არ იცით? პროტესტი ნიშნავს მკაცრ სა-  
ყვედურს.


— კიდეც ხომ არაფერია გაუგებარი?

— არა, მამა, განაგრძე.

— ჰოდა, ერთი მუშა გამოვიდა და დაიწყო:

„ამხანაგებო, ჩვენ ვიბრძვიტ...“

მაგრამ ამ დროს ხალხი აჩოქქოლდა... ვილაცამ და-  
იძახა: „ყაზახები მოდიან, პოლიციელები მოდიან!..“  
ხალხი შეშინდა, იშლებოდა, რომ ერთ მუშას არ  
დაეძახა:



ბავშვები მამის გვერდით ჩამოსხდნენ. მამამ დაიწყო.

— ამხანაგებო! სირცხვილია, არ შეშინდეთ! მტერს  
მტრულად დავხვდეთ!..

ისმოდა მოწოდებების მტკიცე ხმები.

ხალხი შეჯგუფდა, ერთ მწკრივად შეიკრა, და ცე-  
ცხლივით ელვარე ათასი თვალი მიაწყდა მოწინააღმდეგე  
ბანაკს.

ყაზახები ცხენების ფრუტუნით და მათრახების  
ტყლაშუნით მივარდნენ ხალხს.

— დაიშალეთ, თქვე ძაღლებო!..

— მათრახი მაგ ძაღლებს!..

დასწყვიტა ყაზახთა რაზმის უფროსმა, რომელიც  
ჩასისხლიანებული თვალებით კუნძივით იღო ცხენზე.

გაისმა მათრახების ზუილი და მუშების ზურგზე  
ტყლაშუნი.

ხალხი შეინძრა, და ერთბაშად წამოვიდა ქვების  
სეტყვა.

რამდენიმე ყაზახი დაეკიდა ცხენებს უსულოდ.

„ხმალი ამ ძაღლებს!“ — ყვირის რაზმის უფროსი.

აელვარდა შიშველი ხმლები, მაგრამ არა ნაკლებ  
ელვარებდა ჩვენი თვალები.

ცხენები ყალყზე შედგნენ, როდესაც მოინდომეს  
ცხენებით ხალხის ზურგზე გადაარბენა ხმლით რომ ვერა-  
ფერს გახდნენ, თოფი მოიშველიეს.

— ესროლეთ! ესროლეთ! ესროლეთ!..

— ბუუუ... ბუუუ... ზზზუუუ... ზუუუ...  
ხალხი შეშინდა და უკან დაიხია.

რამდენიმე კაცი პირქვე დაეცა. — ბუუუ... ბუუ...  
ზზზ... ზზუუ...  
და კიდევ რამდენიმე მუშა გამოეთხოვა სიცო-  
ცხლეს.

— მამა, მოგკლეს, მამა! — შეწყვირა ბავშვა, რო-  
მელიც მამასთან გაჩნდა.

— ხმა გამე, მამა, ცოცხალი ხარ?

მომაკვდავმა თვალები გაახილა. იცნო თავისი პატა-  
რა ბიქტორი.

მოწყვეტილი ხელები გაიშვირა, საცოდავად დაი-  
კნავლა:

— ჩემო ბიქტორ! შეილო, მტრის შური იძიე...

— მე ვკვდები, ვკვდ...  
„მამა მოკვდა!“, — დასწყვიტა ბავშვა, ვეფხივით მარ-  
ჯვე ნახტომი მოსჭრა, და ხელები ქვას დაავლო.

ვის გართყვას, რომელზე იძიოს შური?  
„განა სულ ერთი არ არის? ყველა ყაზახი ჩვენი  
მტრებია!“ — გაიფიქრა ბავშვა.

მაგრამ სჯობია ის კაცი მოჰკლას, რომ ბრძანებს:  
„ესროლეთ, ესროლეთ“.

აი იმ კაცს, ეხლა რომ ვილაცა მუშას ხმალი მოუ-  
ქნია.

ქვა ხელიდან გასხლტა და ჰაერში გაიშხულია.

„მოხვდა, მოხვდა“ — გაურბინა ბიქტორს თავში სი-  
ხარულის ნაპერწკლებმა.

ამ დროს მოისმა: „ხედავთ მაგ ძაღლის ლეკვს, ეს-  
როლეთ“!..

თოფმა იჭიქა, ბავში პირქვე დაეცა.

ჭრილობა მკერდში ჰქონდა. ჭრილობიდან სის-  
ხლმა ამოჩქეფა, შეუერთდა ღვარად მომავალ სისხლის ნა-  
კადს, რომელსაც მშრალი, გამოფიტული მიწა ხარბად  
სრუტავდა.

ყაზახებმა მუშების გვამები ცხენებს გააქვლინეს.

ბავშვის გვამზე გადაირბინა ყაზახის ერთმა ჯაგლაგ-  
მა ცხენმა, რომელმაც თავისი ტლანქი დაჭედული ფეხით  
ბიჭის პატარა თავი გველივით გაჭყლიტა.

ხალხი დამარცხდა. აუარებელი მუშა დააპატიმრეს,  
ზოგი ჩამოაღრჩეს, ზოგს სამუდამო კატორღა და ციმბირი  
გადაუწყვიტეს...

— ოჰ! — ამოიხორა ნუნუმ.

— საზიზღრები, როგორ მეჯავრებიან!..

შოთამ კი სიბრაზით დაკუმშული მუშტები ჰაერში  
შეატრიალა.

— მე ვყოფილიყავი იქ, ვაჩვენებდი იმათ სეირს!..  
იცი, მამა, მე მზად ვარ ყოველთვის მუშების მტრებზე  
შური ვიძიო.

— ეგრე, ჩემო პატარებო, იცოდეთ, რომ ეს დღე  
სისხლით არის ნაყიდი!..

ეხლა თქვე იცით, როგორ მოუვლით ამ მონაპო-  
ვარს.

— ეგრე, ჩემო პატარებო, იცოდეთ, რომ ეს დღე  
სისხლით არის ნაყიდი!..

ეხლა თქვე იცით, როგორ მოუვლით ამ მონაპო-  
ვარს.

ეხლა თქვე იცით, როგორ მოუვლით ამ მონაპო-  
ვარს.



ბავშვის გვამზე გადაირბინა ყაზახის ჯაგლაგმა ცხენმა.

— მამა, ფეხი რაზე გავიფუტდა, რომ არ გვითხარი?

— ჰო, როგორ დამევიწყდა, ფეხიც იქ გამეფუტდა.  
ბავშვებმა სიბრაღულით შეხედეს მამას.

შოთას მამა ადგა, ფანჯრიდან გახედა ქალაქს.

ქალაქი კი ისევ ხარობდა წითელი დროშებით აზ-  
ვირთებული, იმ დროშებით, რომლებიც ერთ დროს სის-  
ხლით შეიღება.

# პირველი მაისი გაგაჩვენებისა და შრომის ზიზის დღეა

ბავშვებო! გვიახლოვდება გამარჯვებისა და შრომის უდიდესი ზიზის დღე — პირველი მაისი. პირველი მაისი განთავისუფლებულ მშრომელთა და განთავისუფლებისათვის მებრძოლი პროლეტარიატის ყველაზე უფრო სასიხარულო და საზეიმო დღეა.

საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა სადაც 1 მაისს თავისუფლად ზეიმობენ. ყველა დანარჩენ ქვეყანაში ბურჟუაზია დევნის, ციხეებში ჰყრის, ხვრეტს იმათ, ვინც იღებს მონაწილეობას 1 მაისის ზეიმობაში.

კომუნისტური პარტია, კომკავშირი და ახალგაზრდა პიონერები ყველა ქვეყანაში იბრძვიან ბურჟუაზიის დასამხობად, საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

მუშათა კლასი დასავლეთში. ათიათასობით დაიღუპენ მუშები იმისათვის, რომ მოისურვებს ისე მოეწყოთ საკუთარი ცხოვრება, როგორც ეს შესძლეს მუშებმა და გლეხებმა საბჭოთა კავშირში.

ათიათასობით იტანჯებიან მუშები კაპიტალისტურ ციხეებში.

დევ, სასიკვდილოდ განწირული ბურჟუაზია შეიარაღდეს, ჩვენ მისი არ გვეშინია. ბურჟუაზიის ბედი არ იქნება რუსეთის ფაბრიკანტების და მემამულეებს ბედზე უკეთესი. შრომისა და კაპიტალის ბრძოლის ფრონტზე ერთიმეორის წინააღმდეგ დგას ორი სასტიკი მტერი:



სამშაბათს, 16 აპრილს, გაიხსნა ტფილისის მახრის ნ. პ. თემბურაშვილის ხუთდღიანი კურს-თათბირი. კურსებზე დამუშავებულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. ახალი სისტემით მუშაობა პიონერთა ორგანიზაციაში, 2. სასოფლო-სამეურნეო მუშაობა და ლაშქრობა მოსავლისათვის, 3. ოქტომბრულთა შორის მუშაობა, 4. ფიზიკური აღზრდა და გაჯანსაღების საკითხები და 5. ორგანიზაციის აღრიცხვის შესახებ.

დასასრულს განხილულ იქნა გეგმა, თუ როგორ უნდა ჩატარდეს 1 მაისი სოფლად და გამოცხადებულ იქნა კონკურსი საუკეთესოდ მომუშავე თემზე, რომელიც მიიღებს ჯილდოდ ტფილისის ბიუროდან დროშას.

რამდენიც გინდა დევნონ და ავიწროვონ მუშები და გლეხები ყველა ქვეყანაში, მაინც მოხდება მსოფლიო რევოლუცია. მართალია, დასავლეთში ბურჟუაზია ძლიერია, კარგად არის შეიარაღებული, მაგრამ ის მაინც ვერ გაუძლებს გაერთიანებული პროლეტარიატის ძლიერებას. კაპიტალისტების ძალა-უფლება დაემხობა და, როგორც საბჭოთა კავშირში, დასავლეთის მუშები და გლეხები თვითონ მოაწყობენ საკუთარ ცხოვრებას.

ამ ბრძოლაში თავისუფლებისათვის, მთელი ქვეყნის მშრომელთა გაერთიანებისათვის, 1 მაისის ზეიმისათვის ბევრი ტანჯვა-ვაება და სიკვდილი განუცდია მუშათა კლასს, ახლაც საშინელ წვალებას და ტანჯვას განიცდის

ბურჟუაზია, რომელიც გრძნობს მოახლოვებულ დაღუპვას, და პროლეტარული არმია, აღსავსე რწმენით და საკუთარი ძლიერამოსილებით.

მჭიდროდ რიგები, თამამად წინ — სწავლა-განათლებლესა და ბრძოლის გზით კომუნისმისაკენ! ასეთია სიცოცხლის აზრი, ასეთია ბრძოლის მიზანი, — გავსწავლიდა ლენინი, ძმებო! შევსძახოთ მხიარული სიმღერა, მჭიდროდ რიგები!..

# საპირველგაისო

ისევ ამანთო  
პირველ მაისმა,  
დღე მზიანია,  
კარგი დარია.  
დემონსტრანტების  
ხმები გაისმა:  
— სალამი მებრძოლ  
პროლეტარიატს!..  
ეხლა მშრომელთა  
განთიადია,  
მათი თვალები  
მზეს შეეთვისა.  
გასაბჭოებულ  
გულსა სწადია  
გასაბჭოება  
დასაველეთისა.  
თეთრი ტერორის  
საშინელება  
ციხეში ალპობს  
მებრძოლთა რიგებს.  
ციხის დანგრევა  
ხალხს ეძნელება,

ხალხს კაპიტალთან  
რა შეარიგებს.  
მშრომელთა წყლულებს  
დრო მოაშუშებს,  
დრო შებრუნდება,  
დრო გააღდება.  
კომუნიზმისთვის  
მოუხმობს მუშებს  
კლასთა ბრძოლების  
ბარიკადები.  
მაღე ეცვლება  
ფერი ევროპას,  
დღეს რომ სურნელით  
ათრობს იები.  
მოსპობს ყაჩაღთა  
მოუსვენრობას  
აჯანყებული  
კოლონიები.  
გალვიძებული  
დიდნი ქალაქნი  
წამოდგებიან  
კომუნის დროშით.

ქვეყანა სისხლით,  
გადანალაქი,  
იქუხებს კლასთა  
ბრძოლების დროში.  
ურყევი არის  
ჩაგრულთა ძმობა,  
ვინ შეაჩერებს  
ხალხს აჯანყებულს!  
თეთრი ტერორი  
ძირს დაემხობა,  
ენახავთ მსოფლიოს  
გასაბჭოებულს.  
ისევ ამანთო  
პირველ მაისმა,  
დღე მზიანია,  
კარგი დარია.  
დემონსტრანტების  
ხმები გაისმა:  
— სალამი მებრძოლ  
პროლეტარიატს!..

გ. ურუღლი

## აქიმაგი უნდა დაგვეხმარონ.

პიონერ-მუშაკთა რესპუბლიკანურ თათბირზე გამოიკრვა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები (როგორცაა ჯანმრთელობის, ქალთა, ფიზკულტურის, რემედისის და სხვა), განსაკუთრებით ადგილებზე, ნაკლებად იწუხებენ თავს პიონერ-მუშაობისადმი დახმარების აღმოსაჩენად. როგორია დღემდე ადგილებზე ჯანმრთელობის განყოფილების მონაწილეობა პიონერ-მუშაობაში?

გარდა სიღნაღის მაზრისა, არსად არ არიან ჩაბმული ექიმები პიონერ-მუშაობაში; თურმე არის შემთხვევები, რომ ზოგიერთი ექიმები ამ დარგში მუშაობას სხვათა შორის კიდებენ ხელს. ქუთაისიდან მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „როცა ექიმს მივმართავთ პიონერთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად, ერთ საათში ორას ბავშს გასინჯავს, დაადებს გულზე ხელს და გვეუბნება „ჯანმრთელია“, კიდევ მეტი: ხშირად ფულსაც გვთხოვენ ხოლმე“ და სხვა.

როცა ექიმებს მიმართავენ საუბრების ჩასატარებლად პიონერთა და მშობელთა კრებებზე, ზოგიერთი ექიმი მაშინ ავადც ხდება, ან „მიდის ავადმყოფთან“, სინამდვილეში კი სახლში იმალება.

თათბირმა ამ დარგში მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა, რაც ზემოთ ჩამოთვლილმა ორგანიზაციებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ.

უპირველესად ყოვლისა საჭიროა თვით პიონერ-მომუშავენი დაუახლოვდნენ ჯანმრთელობის ორგანოებს, გამონახონ მათთან საერთო ენა (უნდა ისარგებლონ ექიმთა კონფერენციებით, ყრილობებით და სხვა.)

ექიმებმა თავისი დაუზარებელი მუშაობით უნდა წახალისონ პიონერები და მათში გამოიმუშაონ ისეთი ჩვევა, რომ ისინი გახდნენ პაწია აგიტატორები სოფლად — სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის საქმეში.

ახლოვდება ზაფხული, რაც საუკეთესო დროა ბავშთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად და გასაუმჯობესებლად. საჭიროა ექიმების მიერ დაავადებულ ბავშთა მშობლებისათვის რჩევა-დარიგების სწორედ მიცემა, რომ მშობლებმა და პიონერთა ორგანიზაციამ ავადმყოფები გაგზავნოს სათანადო ადგილებზე დასასვენებლად. წითელი ჯვრის სახ. ორგანიზაციებმა პიონერთა ჯანმრთელობის დაცვისათვის დასახმარებლად საჭიროა სათანადო წვლილი გაიღონ და დაგვეხმარონ ბანაკობის მოწყობაში.

გვრწამს, რომ ექიმები დაუზარებელი მუშაობით ღირსეულ წვლილს გაიღებენ, დაგვეხმარებიან მოზარდი თაობის ჯანსაღ აღზრდაში.

ელპიდი გეგენავა.

# საბავშვო-პიონერული კინოფილმის შესახებ.

ყველა ხელოვნებაზე უფრო ღირსშესანიშნავად საბჭოთა კავშირისათვის კინო მიმაჩნია.

## ლენინი.

მსოფლიოში ყოველდღიურად მილიონობით ავსებენ მაყურებელნი კინოთეატრებს.

ამერიკაში მთელი კინოკალაქია გაშენებული გოლიუდის სახელწოდებით, საიდანაც ყოველდღიურად გამოდის მსოფლიო ბაზარზე კინოსურათები.

**კაპიტალისტურ ქვეყნებში კინოს კლასთა ბრძოლის ჩაძინების იარაღად იყენებენ.**

არცერთ ხელოვნებას არ შეუძლია ისეთი აგიტაციის გაწევა ამა თუ იმ მიმართულებით, როგორც კინოს, ვერცერთი ხელოვნება ისე **თვალსაჩინოდ** ვერ ასახავს ხელშესახებ მოვლენებსა და მათ დამოკიდებულებებს, როგორც კინო.

ამხ. ლენინის ზემოქმედებით ლოზუნგი კინოს შესახებ ითვალისწინებს ხსენებული ხელოვნების პოპულარობას და კინოს საშუალებით მასების გათვითცხობიერების საკითხს.

საბჭოთა კავშირში კინოს მრავალი დანიშნულება აქვს. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში კინო უფრო მოგების წყაროა, საბჭოთა კავშირში პირიქით, კინოს, როგორც მომგებიან წარმოებას, უფრო ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული, სამაგიეროდ მას ვიყენებთ კულტურული გართობისა და, რაც მთავარია, მშრომელი მასების გათვითცხობიერების უდიდეს იარაღად.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი ჩვენს კინემატოგრაფიაში საბავშვო-პიონერული ფილმია. თუ ძველად ძოხარდ თაობას ართობდებ დევებაზე, ღმერთებზე და ანგელოზებზე ზღაპრებით, დღეს ამ ზღაპრებისა და სხვა უაზრო გასართობების ადგილი კინოფილმმა უნდა დაიჭიროს. ვერცერთი წიგნი ვერ გადმოსცემს ბავშვს ისე თვალსაჩინოდ გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ მოვლენებს, როგორც კინო. მოხარდ თაობას უყვარს სანახაობა. ამისათვის კინო საუკეთესო საშუალებაა. ბავშვებისათვის კინო მთელი ასი პროცენტით უნდა იქნეს გამოყენებული.

დღემდე იყო საბავშვო ფილმების დადგმის ცდები, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ცუდ შედეგებს ვიღებდით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე კინოფილმს: „მოხეული სახელო“, „ციროკის ბავში“ და სხვა.

რა არის მიზეზი, რომ საბავშვო-პიონერული ფილმის საკითხი ვერ არის სათანადოდ დაყენებული, მაშინ როდესაც საბჭოთა კინემატოგრაფია თავისი პროდუქციის ღირსებით მსოფლიოში ერთ-ერთ მთავარ ადგილს იჭერს?

მთავარი ის არის, რომ საბავშვო ფილმებზე მომუშავეების უმრავლესობა არ იცნობს ბავშვის ფსიხოლოგიას, მის მოთხოვნილებასა და საჭიროებას. როგორც დაწყებით ანაბანის წიგნში წერია ამოსაკითხი ასოები მსხვილად და გარკვევით, ასეთივე უნდა იყოს საბავშვო ფილმები.

საბავშვო ფილმს ჩვენს კინოწარმოებებში შემთხვევითი ხასიათი აქვს, საბავშვო ფილმი კი მოითხოვს დიდ კინოგამოცდილებასა და ჩვენი აღმზრდელი პოლიტიკის ცოდნას; ხსენებული ფილმების დადგმას ჩვენი კინოწარმოებები სრულიად გამოუცდელ შემთხვევით პირებს ანდობენ და ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ დღემდე არა გვაქვს არცერთი ღირსშესანიშნავი საბავშვო-პიონერული ფილმი.

დროა ამ მოვლენას ყურადღება მიექცეს. ამ საქმეში უნდა ჩაერიონ თვით პიონერები, მოწაფეები და პედაგოგები, წამოაყენონ თემები და მოთხოვნილებები კინოწარმოებების წინაშე და ამით ვაჯანსაღდეს საბავშვო-პიონერული ფილმის საკითხი, რომელსაც ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა.

## უ. მდივანი.

ვთხოვთ ამხ. პიონერებს, მოწაფეებს და პედაგოგებს გამოსთქვან თავისი აზრი ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ამხ. უ. მდივნის მიერ დროულად დასმულ საბავშვო-პიონერული ფილმის საკითხზე.

## რედაქცია.

# ვანო ქალაქი

1

ჰა, ასეთ ამბავს კითხულობს ვანო, გადაუმღია წიგნის ფურცლები: „იყო სიბნელე, იყო მონობა, და სარდაფებში სწუხდნენ მუშები. მაგრამ გულები აივსო შურით, ქალაქს მოედევნ ცეცხლის ალგებად და მიძინებულ ქუჩის ყურეში გადმოიმართუნ ბარიკადად...“

ბრძოლის ამბავით ვანო ღელდება, წიგნს ხელებს უშვებს და გადის გარეთ; ამბობს: „ქარხანას შევეურთოდები, ვნახავ ქალაქსა და მშრომელ მუშებს, და მათთან ერთად მათივე შვილი დავისვამ მკერდზე ბრძოლის იარებს. როგორც მებრძოლნი, შვილნი კომუნის, მტრებს სამუდამოდ გავატილებთ“.

2

მატარებელი არღვევს სიბნელეს, ველს გადმოსცქერის მთები დახრილი, და ნაპრალებში ჩამჯდარ ღელეებს ლიანდაგების ესმის ძახილი. დღეს ვანოს გული სიხარულს იტყვის, რადგან სოფლიდან მოაქვს ცნობები; იგი ხელობის სურვილებს მისდევს, უყვარს ქარხანა, უყვარს მუშები. მისი მამა ხომ, გლეხი მებრძოლი, ცხრაას ჩვილმეტის გრივალს გადაჰყვა, ყოველთვის მედგრად იღვა მოძმესთან და მტრებს უხდიდა ბრძოლას ამაყად.

3

მივა ქალაქში, სადაც ხალისით გადაეშვება მქუხარ შრომაში და ცოდნა-სწავლით მთლად აღჭურვილი კვლავ დაბრუნდება თავის სოფელში. ვანო უყურებს ქუჩებს ანთებულს, გული ხმალია, მკერდი — ქარქაში, და მატარებლის ყვირილ-გრილით გადავა მალე მშფოთავ ქალაქში.

## გ. შალვაშვილი

## პურის წიგნაკების შემოღების შესახებ

საბჭოთა კავშირის მთავარ ქალაქებში შემოღებულ იქნა პურის წიგნაკები.

ისმება საკითხი: რისთვისაა ეს საჭირო?

რასაკვირველია, არა იმისათვის, რომ პურის კრიზისს ან სხვა რაიმე მოვლენას ჰქონდეს ადგილი. ამას მოითხოვს პურის წესიერი განაწილების ინტერესები.

ცნობილია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში პური არაწესიერად ნაწილდება, წარმოებს პურით სპეკულიაცია, და გლეხურ მეურნეობაში ბევრი ზედმეტი პური საქონლის კვებას ხმარდება.

ყოველივე ეს მოითხოვს, რომ პურის განაწილება უფრო გეგმიანად წარმოებდეს, ასეთ საშვალებად კი მიჩნეულია პურის წიგნაკების შემოღება.

გამოირკვა, რომ იმ ქალაქებში, სადაც უკვე შემოღებულ იქნა პურის ასეთი განაწილება, ამან თვალსაჩინო შედეგები გამოიღო: მოისპო არა თუ რიგები, არამედ ქალაქში დარჩა პურის საკმაოდ დიდი მარაგი.

პურის წიგნაკების საშვალებით პურს პირველ რიგში მშრომელები იღებენ. არამშრომელ ელემენტებს პურს უფრო ძვირად მიჰყიდებიან, რომლის შემოსავალი პურის და პურის საცხოვრების გაუმჯობესებას მოხმარდება.

ამიტომ საჭიროა, რომ ყოველმა პიონერმა იცოდეს პურის წიგნაკების შემოღების მნიშვნელობა, რაც პურის წესიერ განაწილებას და მომარაგებას ნიშნავს.



„26“ კომუნარის სახ. რაიონის პიონერ-ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ჯგუფი

# გაუმარჯოს პროლეტარიატის ბრძოლისა და გამარჯვების დღე- სასწაულს 1—მაისს!..





**წინა დღეები.**

მზე ღრუბლებიდან უნიათოდ იბჟუტებოდა, და დღე იყო ნაცრისფერი...

ხრჩოლავდა პატარა სახლები, და სახლების იქით იდგა მიწისფერი ბინდი და ბინდის იქით, შორს, იყო გადაშლილი ციმბირი ტაიგების უდაბნოთი, ტუნდრებით, ყინვიანი ქარით და ბნელი პოლარული ცივი ღამეებით...

აქ იცის სხვადასხვა ჯურის ცხოველები... მხეცები... არის ადგილები, რომელიც მუდამ ბინდითაა მოცული, მაგრამ ეს უფრო შორს იცის...

და აქ, ამ ცივ, ყინულის კრისტალებით ავსებულ მხარეებში, არის ოქროს ბუდობები...

აუარებელი ხალხი მუშაობს ცივ, ნესტიან მალაროებში.

მათ ძალზე ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა... ხელფასი ძვირია.

სამუშაო დრო კი გრძელი.

ვინ გინდათ „ლენის ოქროს მადნეულობის ამხანაგობის“ სამართველოში არ ნახოთ!

აქ არიან ყველანი, ვისაც კი ოდნავ სამყოფი ფული გააჩნია.

აქ ნახავთ: ინგლისელს, ამერიკელს, ფრანგს, რუსს და კიდევ ვის!!

წარმოება დიდია.

იზიდავდა ოქროს მადნები უცხოელებს და კიდევაც მეფობდნენ უცხო კაპიტალისტები...

მუშების მდგომარეობა დღით-დღე უარესდებოდა და მათი ზიზლი კაპიტალისტებისადმი დღითი-დღე იზრდებოდა.

\* \* \*

ფერმკრთალი, თვალმჩაღამებული, მხრებში ოდნავ მოღუნული უფროსი მუშა მიხეილი შუბლიდან ოფლჩამოღვარული მიყრდნობოდა მალაროს ცივ კედელს და ოდნავ სუნთქავდა.

მას მუხლები სისუსტიგან უკანკალებდა და მთელი სხეული ისე თრთოდა, რომ შორიდანაც შეამჩნევდით ძაგძავს..

ეტყობოდა, მას ღონე არ ყოფნიდა მუშაობისათვის...

ხელავედნ ამას სხვებიც...

იქვე იდგა და მასთან მუშაობდა ახალგაზრდა, თვალმანთებული, ჯან-ღონით სავსე მუშა იური, რომელსაც სახე ოდნავ დაემწუხარებია.

ეს მიხეილისადმი თანაგრძნობით იყო გამოწვეული.

მიხეილი მას ჩასცქეროდა თვალბში და უსიტყვოდ ჩასჩურჩულებდა:

— ჩვენი ბედი ასეთია, ძმაო! შენც ჩემსავით ჩამოგადნობს, ჩამოგახმობს ჯერ კიდევ ახალგაზრდას ეს ცივი, ბნელი მალაროები!

და იურიც თითქოს გრძნობდა ყოველივე ამას და ამბობდა:

— გამუდმებით არ შეგვიძლია მუშაობა, ვერ ავითანთ ამ მძიმე პირობებს.

და შორს მალაროებში დაებოტებოდნენ მუშები და ისმოდა ყრუ დარტყმა, ყრუ ხმაური...

— პირდაპირ შეუძლებელია ასე მუშაობა! — ამბობს მიხეილი.

— ბოლოს და ბოლოს ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც ვიცით კარგისა და ავის გარჩევა... ეხლა დროა ჩვენ ჩვენი მოვითხოვოთ! — ამბობს იური.

— მე... არ ვიცი... საღ წავიდე!! რა ექნა!! რით ვარჩინო წვრილი ცოლშვილი!! — ამბობს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიხეილი.

— ძმებო, ხომ ხედავთ, ხელფასს აკლებენ, ჯარიმებია და ერთი-ორად გაგვიდიდეს! მერე კიდევ ე ტალონებია თუ რაღაც ჯანდაბა, სულ ბარაქას ართმევს ჩვენს ნაშუშევარს.

— სიკვდილი სჯობია ჩვენს ცხოვრებას!.. ჩაერია საუბარში მუშა დიომიდე, რომელიც ამხანაგებში დიდი ნდობით იყო აღჭურვილი.

— ჩვენ გარკვევით უნდა მოვითხოვოთ სამუშაო დღის 8 საათამდე დაყვანა, ჯარიმების გაუქმება, ხელფასის მომატება.

და თუ ეს მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ ბრძოლა დაგვრჩენია საკუთარი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

— მართალია დიომიდე! — უმატებს იური — ჩვენც გვიდულს ძარღვებში სისხლი, ჩვენც შეგვიძლია ბრძოლა და დეე, ეს გაიგონ მათ და დეე, ეს გაიგოს ყველამ!

— მე აქ დიდი ხანია რაც ვმუშაობ... — დაიწყო ისევ მიხეილმა, — მრავალი ბრძოლის ქარტეხილში მოვქცეულვარ.

რა არ მინახავს!

რა არ ვადამიტანია!

რა არ ვანმიცდია!

მთელი ჩემი სიცოცხლის ძვირფასი დრონი ამ ცივ მალაროებში ვამიტარებია.

მთელი ჩემი ახალგაზრდობის სანატრელი ჯან-ღონე ამ ნესტიან მალაროებში გამიქარწყლებია!

და ეხლა ხანში შესული, ჯან-ლონე გამოლეული ვმუშაობ ისევ იმისთვის, რომ შიმშილით, სიცივით არ მოვმკვდარებიყავ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ყოველგვარი უბედურება აწია მოსალოდნელი... თანდათან აუარესებენ ჩვენს მდგომარეობას.

ამბობდა ამას ის ისე, რომ ხელები სულ უკანკალებდა და ბაგეები საშინლად უთრთოდა...

და გარეთ, ბურუსიან, თოვლიან სივრცეში უბერავდა ქარი ცივი, გაყინული ყურეებიდან, შორეული ტუნდრებიდან.

სალამოს ცაზე თეთრად დაძინებული ღრუბლები მოფორთხავდნენ ბინდივით, და ამ თეთრ ბინდში მოდიოდა თოვლი...

ივსებოდა მიდამო ცის თეთრი ნალექით და გაყინულ სივრცეში გარკვევით იფანტებოდა ძახილი...

მიხეილს ღონე თანდათან უსუსტდებოდა...

მუხლები ისევ უკანკალებდა და თვალეში ისევ ბინდი ეპარებოდა. საგნებს ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან...

ისე კი ცდილობდა თავი ისე დაეკავებინა, ვითომ აქ არაფერიყო, მაგრამ არა, ის ვერ უძლებს ძარღვების აჩქარებით ფეთქას...

მკერდექვეშ რაღაც მოაწვა, ტუჩები, ლოყები აულურჯდა, ნიკაპი აუკანკალდა, თვალეები რამდენიმეჯერ გადაატრიალა და იქვე ჩაიშრება.

გარს შემოეხვიენ შემფოთებული მუშები...

— საწყალმა ეერ აიტანა მუშაობა! — სთქვა ერთმა.

— უბედური მისი ცოლშვილი! — დაუმატა მეორემ.

დიომიდე განცვიფრებული მივარდა მიხეილს, რამდენიმეჯერ შეანჯღრია, მაგრამ ის არ ინძრეოდა. ცივი იყო მისი სხეული.

— ძმებო! ასეთები პირველი არ არის ამ მალაროებში, — დაიწყო დიომიდე, — ჩვენ არ შეგვიძლია ასე ცხოვრება! ჩვენ გვატყუებენ, გვამუშავებენ... ვერც თავისთვის მიგვიხედნია, ვერც ცოლშვილისათვის! დროზე ჯამაგირს აო გვაძლევენ, ხშირად გვითხოვენ! დროა ხმა ამოვილოთ, დროა ჩვენ ჩვენი მოვითხოვოთ! ვერაფერი ვერ გვიშველის შეკავშირებული ბრძოლის გარდა!

მუშები ნერვიულობდნენ... ირეოდნენ...

ბოლოს მოვიდა ინჟინერი გულჩინსკი და ადმინისტრაცია.

ადმინისტრაციამ იძულებით დაშალა შეჯგუფებული მუშები და მიხეილის ცივი სხეული ქარ-თოვლში ჩამონაცრისფერებულ სივრცეში მოაშორეს სამუშაოებს.

ასეთი იყო მათი ცხოვრება...

ასეთი იყო წინა დღეები.

**ძალების შეგროვება.**

გრძელ წაბლისფერ დერეფნებში ირეოდნენ მოსამსახურეები. იატაკი ფეხით შემოტანილი დაბერტყილი თოვლით იყო ჩაესე.

ოთახში დარაჯი არვის არ უშვებდა.

დერეფანში თუთუნის ლილისფერი ბოლი იდგა და შიგნით ოთახში მაგიდას უჯდა თეთრსაყულოიანი კაცი, რომელსაც დავითი ერქვა.

ის იყო მალალი, წვერმოშვებული, თვალეებზე შავი სათვალეებით, რომელიც სულ სხვანაირ გამომეტყველებას აღძვებდა მას.

მის წინ სავარძელში იჯდა ვალერი და ისინი ასე საუბრობდნენ:

— მდგომარეობა ძალზე სერიოზულია! საქიროა ზომების მალე მიღება! — ამბობდა ვალერი.

— არაფერია! თუ ღმერთი გაუწყრათ, ბევრჯერ მოგვიგრებნია კისერი მათთვის და ეხლაც მოვუგრებთ!

— კი, მაგრამ რის იმედი გაქვთ? — შეეკითხა ისევ.

— როგორ თუ რის!

— მალაროების რაიონში ჯარი არ არის!

— ეხ, ეს მე სულაც არ მალარდებს — ამბობდა დამშვიდებით დავითი.

— როგორ, ეს წარმოუდგენელია!

— ჯარი უკვე გამოწვეულია. მალე ირკუტსკიდან ქანდარმის როტმისტრი ტერეშჩენკოც მოვა! — სთქვა დავითმა.

ვალერს თვალეები გაუბრწყინდა და სიხარულით წამოიძახა:

— აბა, ჩვენ არაფერი გვიშავს, ისევ იმათ იკითხონ.

— მაშ... მაშ... ის დღეს უნდა მოვიდეს... ასე რომ, ჩემო ვალერ, მე ეხლა მათი ფხაკური სულაც არ მაშინებს.

ამბობდა ამას დავით გაბრწყინებული სახით და გრძელ სიგარას გამუდმებით აბოლებდა.

და ცოტა ხნის შემდეგ გაიღო კარი...

შემოვიდა დარაჯი და სთქვა:

— მათი ბრწყინვალეობა მობრძანდება.

უკვე მიხვდნენ, ვინ მოდიოდა და, მართლაც, კარებში გაბოხნდა როტმისტრი ტერეშჩენკო.

მიესალმნენ ერთმანეთს. მოიკითხეს ერთმანეთი.

— როგორ ბრძანდებიან? — ჰკითხა დავითმა.

— თვითონაც არ ვიცი, მართალი მოგახსენოთ, — უპასუხა ტერეშჩენკომ. — რუსეთის თითქმის ყველა სწარმოო ცენტრში მუდამ გაფიცვებიან...

ხან მიხდება არალეგალური ორგანიზაციების დაქერა, დევნა...

ხან კიდევ ათასი ჯანდაბა, და პირდაპირ დავდნი ამდენი შრომისაგან...

სხვა, აქ რა ამბავია?! — იკითხა თავის მხრივ მან.

— ჯერჯერობით ჩუმიად არიან, მაგრამ... — სთქვა დავითმა.

— ისინი სანდო არ არიან, — დაუმატა ვალერმა.

— სწორია! — სთქვა ტერეშჩენკომ. — მათი სიჩუმე დიდ რამეს ნიშნავს, მაშინ კეთდება მათთან, რაც მნიშვნელოვანია... ერთი ურჩობა — და ყველას ამოგვლეტ, დავებრეტ, და მიწყნარდება ყველაფერი...

— ძალიან კარგია, — დაუმატა ვალერმა.

— ისინი ისეთი ხალხია, რომ ყოველ წუთს თუ არ უჩიჩინე, არ ხვრიტე, — ჰკუას ვერ ისწავლიან.

— პირდაპირ სიცოცხლე გამიმწარა მათმა მოთხოვნებმა... ეხლა კი თქვენზეა საქმე... ეხლა თქვენ იცით...

— მე კი მათ ძალიან კარგად გაუმასპინძლები...

ჩემი გზაა — ხიშტი, ტყვია, სისხლი...

ამსიშორიდან რომ მოვედი, ისე არ წავალ, რომ ჩემმა მოსვლამ სისხლი არ დაღვაროს!..

— ძალიან კარგია!..

— დიდებულია! — უმატებენ ისინი, და ასე წყდებოდა მალაროში მომუშავეთა ბედი.



# ირმის რივილი.

რომელი ერთი მოგითხროთ,  
თავს რა არ გადამხედია,  
ხარბ მონადირის თვალბში  
პირისპირ შემხედია.

უსვრია, მაგრამ მიზანში  
ტყვია ვერ მოუქედია,  
ვაპ, შენ კი გატილდიო,—  
მუქარით დაუყებდია.

დამდეგენბია ფეხდაფეხ,  
გადმოუქელავს ქედია,  
გასტრუებია იმედი,  
დაუწყევლია ბედია.

მე კი, თვალდაფეთებულსა,  
მთისკენ მისვრია პირია,  
შევსულვარ ტყისა უბეში,  
სადაც რომ უფრო ხშირია,  
დედა-ბუნების ჭირიმე,  
იცის, რისთვისაც ვსტირია,  
მას ესმის ჩემი ტკივილი  
და ჩემი გასაჭირია.

რას მემართლებით,  
რათა მკლავთ  
ირემსა ჯილარქიანსა,  
ტყეთა და მთათა მშვენებას,  
უწყინარს, ლაზათიანსა,  
ვის რას გიშავებთ,  
რას გერჩით,  
ან რას გაყენებთ ზიანსა,  
რომ ჩემი სისხლით აწითლებთ  
ხასხასა ბალახს ცვრიანსა,  
რათა გშურთ ვძოვდე ლალდა  
იალალს ბარაქიანსა!  
ასე ჩიოდა ირემი,  
გულში შიშვაუქრობელი,  
და ყურს უგდებდა ბუნება,  
როგორც შვალს დედა-მშობელი.

გ. ქუჩიშვილი.

## უღელტა.

ცივი ქარი სისინებდა.  
მზე იბუჯტებოდა ისევ და ხშირად გადაეკვროდა  
ბინდი, ბური...

ციოდა ისევ...  
ქარი ძვლებში ვადიოდა.  
მუშების შავი გროვა მალაროსთან იდგა.  
ერთი შეხედვით შეამჩნევდით, რომ ისინი ვილა-  
ცას ელოდენ...


საუბრობდენ ერთმანეთთან...  
— ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს: მე მგონია, ჩვე-  
ნი დელეგატები ისე დაბრუნდებიან, როგორც უწინ  
ბრუნდებოდენ...

— არა, ნაწილობრივ მაინც დაგვაკმაყოფილებენ...  
— თუ ასე არ მოხდა, მერე ჩვენ ვიცით!..  
— ხომ ხედავთ, ჯარიც ჩამოიყვანეს!..  
— ეს არაფერია...  
— ჩვენ გავუძლებთ მათ იერიშებს...  
— ჩვენ ვიხოცებით სიმშლით...  
— სიცივიტ!..  
— მუშაობით!..  
— ჩვენ გვცარცვავენ, ტყავს გვაძრობენ!  
და უცებ შეამჩნიეს შორიდან: ვილაც მორბოდა.  
ყველა გაჩუმდა და მას შეხედეს.  
— ეს ხომ იურია! — იცნო ვილაცამ.  
— იურია!..  
— იური!..  
დაიძახეს სხვებმაც...  
— მაგრამ აქით რათ მორბის?  
— ის ხომ იმ დელეგატებთან ერთად წავიდა!  
— რას ნიშნავს ეს! რათ მორბის ასე? რა უნდა მო-  
მხდარიყო!?

ყველა განცვიფრებულიყო და მას შეყურებდენ...  
ის კი მორბოდა თავდავიწყებით. აი, კიდევაც მო-  
იბრბინა...  
მას თვალები უჩვეულოდ ანთებოდა და დაღლილ-  
ბისაგან ძლივს სუნთქავდა...  
— რა ამბავია, იური?  
— რა მოხდა ასეთი? — შესძახეს მუშებმა...  
— დავილუპეთ! — სთქვა მან.  
— რა ამბავია?  
— დელეგატები დააპატიმრეს! დელეგატები დააპა-  
ტიმრეს! — ორჯერ წამოიძახა მან...

მათი სახეები ზიზლით აივსო. ყველას სახეზე აღ-  
შფოთებას ამოიკითხავდით.  
წინ მიდის იური.  
ირგვლივ თოვლია, თვალმომქრელი სითეთრით აბ-  
ზინებულნი...  
და თოვლში მიიკლაკნება ბილიკი. ვერსად გადა-  
უხვევთ, პირდაპირ უნდა იაროთ.  
და მუშებიც, რომელნიც დაპატიმრებული დელეგა-  
ტების შესახებ მიდიოდენ ნაღვედის მალაროსაკენ, სწო-  
რედ ამ ბილიკს დაადგენ...  
წინ მიდიოდა იური...  
მისდევდა მუშების შავი გროვა...  
და უცებ მათ წინ აიჭა'ათა ჟანდარმთა როტმის-  
ტრი ტერეშჩენკო და დაიძახა:  
— შესდექით! სად მიხვალთ?  
— მოსალაპარაკებლად სივდივართ!  
— სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრეს ჩვენი დელე-  
გატები!  
— ჩვენ მოვითხოვთ გარკვეულ პასუხს...  
ისმოდა ხმები მუშათა რიგებიდან...  
ტერეშჩენკომ წარბები შეკმუნა, თვალები ცე-  
ცხლით აივსო და ბრძანა:  
— გიბრძანებთ დაბრუნდეთ უკან მალაროებში!..  
— ჩვენ მოლაპარაკება გვინდა!..  
— გიბრძანებთ!..  
— არც ერთი უკან არ დავიხვეთ!..  
— ჩვენ პასუხი გვინდა!..  
— პასუხი ხიშტი, ტყვია, სისხლია — სთქვა ტერეშ-  
ჩენკომ და ჯარისკაცებს უბრძანა ესროლათ.  
გამოშვებრილმა თოფებმა იჭექა, იჭუხა, აბოლდა  
სივრცე, და ამ ახმაურებულ სივრცეში გაისმა დაჭრილთა  
კვნესა...  
მუშებში ჩოჩქოლი გაისმა...  
— დაწექით! — დაიძახა იურიმ და ყველანი და-  
წვენ თოვლში...  
— ესროლეთ! — დაიძახა როტმისტრმა, და ეხლა  
მწოლარეთ დაუშინეს...  
შეიღება ბილიკი სისხლით...  
ისმოდა ისევ დაჭრილთა საზარელი ამოგინება... სის-  
ხლში ამოსვრილ, თავგაპობილ, დაგლეჯილმკერდიან მუ-  
შებს დასტკეროდა ტერეშჩენკო და თითქოს ჩურჩულებდა:  
— აი, ჩვენი პასუხი!..  
და თოფები ქუხდა ისევ...

არჩილ ჩაჩიბაია.



## ჭრებალუს თემი, ტოლა-ხვანჭპარა

(რაჭა-ლეჩხუმის მაზრა)

ტოლა-ხვანჭპარას ა. ლ. კ. კ. უჯრედთან დაარსდა ც. ბ. თავმჯდომარის ამხ. ა. მახათაძის სახ. ნ. პ. კოლექტივი. ის აერთიანებს 100 პიონერს და ოქტომბრელს. უნდა ითქვას, რომ კოლექტივი დღიდან დაარსებისა კარგად მუშაობს. კოლექტივი 12 რგოლად არის დაყოფილი. მუშაობა ახალი სისტემის მიხედვით წარმოებს. გვაქვს კოლექტიურად დამუშავებული მიწის ნაკვეთი, მოწყობილი გვაქვს ცალკე ოჯახებში ინდივიდუალურად დამუშავებული სანიმუშო მიწის ნაკვეთები.

ჩვენსა კოლექტივში მიზნად დანახა საგანგებო თევზის კამპანიასთან დაკავშირებით სოფლად მოხსენებების, საუბრების და გაზეთის ხმამაღალი კითხვის ჩატარება. ძოვაწყვეთ პატარა სამკითხველო, ვატარებთ სლამო-წარმოდგენებს, ჩამოყალიბებულია სასიმღერო გუნდი და სხვ. გამოდის ყოველთვიურად კედლის გაზეთი „პიონერის ხმა“, სადაც თითქმის ყველა პიონერი იღებს მონაწილეობას. ჩვენს კოლექტივს განზრახული აქვს მოაწყოს ბანაკობა აგარაკ შოგში.

პიონერი ამბერკი თავიდაშვილი

## გამონათქვამი

ვიწერ ჟურნალ „პიონერს“ ოთხი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ამხ. ს. ჯუღელის სახელობის სიღნაღის კოლექტივიდან: გ. საამოვს, გ. იარალოვს, ბ. ენიკოლოფოვს, ა. ავაქოვს, ე. მენთეშაშვილს, ნ. ტიაშვილს, ნ. გურგენიშვილს, ვ. ჯანიაშვილს, გ. ტიტანოვს და ი. ედიგარაშვილს.

კარლ ლიკბნეტის კოლექტივიდან: ს. ყაჯარდუხოვს, მ. სააკოვს, ვ. ქრისტესაშვილს, მ. გალუსტოვს, ჰ. აკობოვს, ვ. ნადირაძეს, თ. გოცირიძეს, ლ. მოსესოვს, რ. ჩუფლაშვილს და მარგო გალუსტოვს.

ბ. ლეუნევი.

აფხაზეთის ქართულ პიონერთა კოლექტივის სახელით მადლობას ვუცხადებ ამხ. ამხ. ბ. ბიბინეიშვილს და ალ. მაშაშვილს წიგნებით დახმარებისათვის.

გიორგი ბასილაია

## კომკავშირის უჯრედო, მოგვხალა

(საგარეჯო, ტფ. მაზრა)

საგარეჯოს ნ/პ ორგანიზაცია 1924 წ. ჩამოყალიბდა. დღიდან ჩამოყალიბებისა კოლექტივში გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა, მაგრამ ეს ერთი წელია, რაც კოლექტივში მუშაობა მოისუსტებს. არა გვაქვს სამეცადინო დარბაზი, რის გამოც სკოლის გამგესთან გვიხდება ხვეწნა, რომ კვირაობით დაგვიტომოს სამეცადინოდ კლასები. შენედა გაზეთის გამოშვების საქმე, არც ერთი ექსკურსია არ მოგვიწყვია, არ გავაგანია კოლექტივისათვის საქირო ხელსაწყოები, სათამაშოები და სხვა.

ადგილობრივმა კ. კ. უჯრედმა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ კოლექტივი თავის სისძლიერე დადგეს, თორემ დღეს თუ კოლექტივში 60 პიონერი ირიცხება, მალე ესენიც დაიფანტებიან და ცალიერი კოლექტივი დარჩება.

ბ. ზუკაკიშვილი.

## ქ. ხონის კოლექტივის ავ-პარკი.

უდავო ფაქტია, რომ მესამე თაობის აღზრდის საქმეს დიდი ყურადღება ექცევა. მაგრამ ქალ. ხონში ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ზემდგომი ორგანოები. ხონში არსებობს სულ სამი კოლექტივი, რომლებშიც 295 პიონერ-ოქტომბრელია.

პირველი კოლექტივი მიმდგრებულია ხონის ცხრაწლიანი შრომის სკოლის კომკავშირის უჯრედზე, მაგრამ ის კოლექტივს ვერ უწყევს შესაფერ დახმარებას; კოლექტივი დიდ მატერიალურ სივიწროვეს განიცდის; უწყესობაა კოლექტივის ბინაზე, არ გამოდის კედლის გაზეთი და სხვ.

მეორე კოლექტივს, რომელშიაც მდგომარეობა ცოტათი უმჯობესია, პროფკავშირებთან აქვს დათმობილი ბინა. ბინა ერთობ პატარაა, რაც ხელს უშლის მუშაობის გაცხოველებას. კოლექტივი უშვებს კედლის გაზეთს „პიონერის ხმა“.

ეს კოლექტივი დაყოფილია რგოლებად, რომელსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი ამხანაგები. ჩამოყალიბებულია მოცეკვავეთა და მოსიმღერეთა წრეები, რომლებიც ამ მოკლე ხანში ჩაატარებენ შეჯიბრს ცეკვა-თამაშში. კოლექტივი ავრცელებს ჟურნალ „პიონერს“ 10 ცალს და ჟურნ. „ოქტომბრელს“. ამ კოლექტივმა ეხლახან ჩაატარა წარმოდგენა; შემოსული თანხებით განზრახულია პიონერთა ლაშქრობის მოწყობა.

მესამე კოლექტივის მუშაობაც შედარებით დამაკმაყოფილებელია: აწყობს პროლეტარულ დღესასწაულებზე გამოსვლებს, თავისუფალ ვარჯიშს საჯაროდ და სხვა.

ხსენებული კოლექტივების მუშაობა წარსულში ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რაც ძომავალში გამოსასწორებელია. არის შემთხვევები, რომ კოლექტივები უფასოდ უშვებენ კინოს, მაგრამ ყოველად მიუღებელ, გაუმართლებელ ფილმებს უჩვენებენ.

დ. შამათავა.

# ძირს აღდგომა.

რელიგია ჩვენში თანდათანობით ცდილობს გამოცოცხლებას. ამას ხელს უწყობენ ნებჰანები, კულაკები, მღვდლები და საბჭოთა ხელისუფლების მანქანა ელემენტები.

ნებჰან-კულაკები ასაჩუქრებენ ბავშვებს და არიგებენ არ იარონ პიონერთა კოლექტივში, ეუბნებიან, რომ პიონერთა კოლექტივი გარყვნილების ბუდეს წარმოადგენს. ზოგიერთი მშობლები იჯერებენ ამ სიტყვებს და არის შემთხვევები, როდესაც შვილი გამოჰყავთ კოლექტივიდან.

ამ შემთხვევაში დამნაშავენი არიან სკოლები და ზოგიერთი მასწავლებლებიც, რომლებიც პატარა ბავშვებთან ერთად დადიან ეკლესიაში, სანთლებს ანთებენ, მარხვას ინახავენ და ლოცულობენ (მაგალითად, თელავში).

უკვე ახლოვდება „აღდგომა“, და უკვე ემზადებიან ჩვენი მტრები, რომ კარგად იზეიმონ ეს ცრუმორწმუნეობის დღე. პიონერებმა ხელი უნდა შეუშალონ ამას. ამ დღეებში უნდა მოვაწყოთ მეცადინეობა, გასართობები, რომ არცერთი ბავში არ დარჩეს შინ და ზოგიერთ ცრუმორწმუნეობით გაჟღენთილ მშობლების გავლენის ქვეშ არ მოექცეს.

ყველა სკოლამ უნდა აიღოს მაგალითი სიღნაღის 7-წლედთან არსებულ „უღმერთოთა წრის“ და პედ-საბჭოს დადგენილებიდან:

**„აღდგომის კვირადღე გამოცხადდეს ჩვეულებრივ სამუშაო დღედ, სკოლაში წარმოებდეს ნორმალური მუშაობა და მის ნაცვლად სკოლამ სხვა დღეს დაიხვეწოს. პიონერებმაც ეს უნდა ვითავოთ.**

პიონერი რ. დავითიანი.

# ასე არ პარბუ.

დაბა ხარაგაულის (მორაპნის მაზრა) მეორე კოლექტივის ინსტრუქტორია ვინმე რეზო ჭიპაშვილი, რომელსაც ისე მოაქვს თავი, თითქოს ხარაგაულის თემში იმაზე მეტი არავინ იმყოფება. ეს ამხანაგი ლაპარაკით ბევრს ლაპარაკობს და საქმით არაფერს არ აკეთებს. მას თუ ვინმემ კოლექტივის საბჭოზე და ან სადმე გაუსწორა რამე, ან ნაკლზე მიუთითა, ის შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „შენ ჩემზე მეტი არაფერი იცი, შენ ხარ მაიმუნი, ამასხარავებ კრებას, ეხლავე გავაძევებ, მაქვს ამისი უფლება“ და სხვა. რ. ჭიპაშვილი ყველას ასე უმასპინძლდება. ასეთი ამხანაგი ვერ აღზრდის ბავშვებს ისე, როგორც საჭიროა.

ამ მდგომარეობას ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება, თორემ კოლექტივი დაიშლება.

ბიკორი გ. ანაშვილი.

# წერის თემის ნორჩ პიონერთა აპარატი.

ეწრის თემის ოკოფის უბანში (ქუთ. მაზ.) არსებობს ნორჩ პიონერთა კოლექტივი. პირველად დიდი ნაკლი ჰქონდა ხსენებული კოლექტივის მუშაობას, მაგრამ ეხლა კი გაუმჯობესება დაეტყო. კოლექტივში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრე: დრამ-წრე, უღმერთოთა წრე, სას.-სამ. წრე, ტანვარჯიშის წრე და მომღერალთა გუნდი. კოლექტივში ვუშვებთ ორკვირულ კედლის გაზეთს „პიონერთა ნაბიჯი“. გამოწერილი გვაქვს ჟურნალი „პიონერი“ და გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. კოლექტივში სულ 55 პიონერი და 8 პიონერ-კომკავშირელია.

პიონერი ოთარ კახიანი.

# ჯურჯეთის თემი.

ჯურჯეთის თემში (ოზურგეთის მაზრა) ოთხი წელია არსებობს ნ/კ ორგანიზაცია (კოლექტივი). მუშაობა ძალზე მოისუსტებს: არ იწვევენ კრებებს, არ არის პიონერული ლიტერატურა და არც ჟურნალი „პიონერი“ არის გამოწერილი. არ ეწყობა გასართობი ექსკურსიები ან სხვა რაიმე. ადგილობრივი კომკავშირის თემკომი ამას ყურადღებას არ აქცევს, ეს მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია. არც უჯრედების წარმომადგენლების ხელმძღვანელობა ჩანს. თვით კომკავშირელები არც-კი იცნობენ პიონერებს, არ იციან, ვინ არიან პიონერები, ან რა ევალეობათ კომკავშირელებს მათ მიმართ. სამწუხაროა ისიც, რომ არც პიონერებმა იციან პიონერ-კოლექტივის მნიშვნელობა, რაც მიეწერება, ცხადია, კომკავშირის თემკომის და უჯრედების წარმომადგენლების გულგრილობას. კომკავშირის სამბიურო ყოველთვის გზავნის ღირექტივებს, მაგრამ ის კუნჭულში იხახება.

ასეთი უხელმძღვანელობით კოლექტივი უსათუოდ დაიშლება.

გრიშა მოქია.

# გუსურკოთი მესტი აქტივობა.

(დ. ლაილაში, რაჭა-ლეჩხუმის მაზ.)

დ. ლაილაშია 7-წლედთან არსებობს ნ/კ ორი კოლექტივი—ამხ. მ. გობეჩიას და ბორის ძენელაძის სახელობის. პირველ ხანებში მუშაობა ძლიერ მოისუსტებდა, მაგრამ თანდათან გამოცოცხლდა.

ა. ლ. კ. კ. უჯრედს კოლექტივების ხელმძღვანელად გამოყოფილი ჰყავს ამხანაგები, რომლებიც აქტიურ მუშაობას აწარმოებენ ხსენებულ კოლექტივებში.

პიონერები მზურვალე მონაწილეობას იღებენ სკოლასთან არსებულ ორკვირულ კედლის გაზეთ „გარიჟრაჟ“-ში, აწყობენ ლიტერატურულ გასამართლებებს, მართავენ უფასო საღამო-წარმოდგენებს და სხვა; მაგრამ მათ მუშაობაში ნაკლიც უნდა აღინიშნოს: კოლექტივში ძლიერ ცოტა ვრცელდება ჟურნალი „პიონერი“, მაშინ, როდესაც მისი გამოწერა ყოველი პიონერისათვის სავალდებულოა. იმედია, ხსენებული კოლექტივი თავს დააღწევს ამ ნაკლსაც.

პიონერი სევ. ზოგიშვილი.

# მადლობა.

მადლობა ჩვენს შეფს ნივთიერი დახმარებისათვის, ამხ. ლ. ქართველიშვილს, ვ. სტურუას და ყველა იმათ, ვინც გაიღო წვლილი ჩვენს დასახმარებლად.

ოზურგეთის „ეპოს“ ნ/კ კოლექტივი.

# გამოვიწეროთ ჟურნ. „პიონერი“.

სოფ. ნაწილოუკოვის (ზუგ. მაზრა) 4-წლედთან არსებული ნ/კ კოლექტივის წევრები ვიწერთ 2 ცალ ჟურნ. „პიონერს“ 6 თვით და ამავე მიზნით ვიწვევთ ს. ნიკოსის, კორცხელის და ქ. ოჩამჩირის (ქართულ 9-წლედთან არსებულ) კოლექტივებს.

მარგალიტა ბულია, სამსონ ქანთარია, ვალიკო ფელანდია და ადამური ლატარია.

# ძირს რელიგიური ჩვევები, ძირს სრუმორწმუნეობის და ღირსეულობის დღესასწაული — „აღდგომა“!

როგორც ქალაქში, ისე სოფლად აღდგომის უქმეებს მოსახლეობის ნაწილი ლოთობასა და ღორმუცლობაში ატარებს. იფლანგება შრომით ნაშოვნი უკანასკნელი გროშები, ხშირდება სამუშაო დღის გაცდენა და ყოველგვარი უწყესრიგობა, რაც საგრძნობლად აფერხებს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს აღმშენებლობის და ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნის საქმეს.

როგორც ვიცით, „აღდგომის“ დღესასწაული წელს ხვდება მაისის დღესასწაულს, რომელიც მშრომელი ხალხისათვის დიდი რევოლუციონური მნიშვნელობის დღესასწაულია. ამიტომ მაისის დღესასწაული გამორყენებული უნდა იქნეს, როგორც „სააღდგომო“ ანტირელიგიური დღესასწაულიც, რაშიც მხურვალე და დიდი მონაწილეობა უნდა მიიღონ პიონერებმა.

ამისათვის კი საჭიროა პიონერ-ორგანიზაციები, პიონერ-კლუბები და მოწაფეობა წინასწარ ემზადონ იმისათვის, რომ ანტირელიგიური კამპანია ფართოდ ჩაატარონ.

რუსეთში, სადაც განზრახულია ამ კამპანიის ფართოდ ჩატარება, მთელი-რიგი პიონერ-ორგანიზაციები, კლუბები და უღმერთოთა წრეები გაცხარებულ მუშაობას ეწყვიან ამ კამპანიის ჩასატარებლად.

მაგალითად, ბაუმანის პიონერ-ორგანიზაცია ამ დღისათვის ატარებს ბავშთა დღის და ტექნიკური შემოქმედების კვირეულს, ერთ-ერთი კლუბში ეწყობა ბავშთა შემოქმედების გამოფენა (რადიო-ელექტროტექნიკა, ავიოქიმია, ხატვა, ქარგვა და სხვ.), როგორც კი-სემიონოვის რაიონის პიონერთა ცენტრალური კლუბი ამ დღისათვის ამზადებს დიდ კარნავალს, რაიონის ყველა სკოლაში გაიმართება სასკოლო საღამოები, რომლის შემდეგ პიონერები მოწაფეობთან ერთად გამოვლენ ქუჩებში დემონსტრაციაზე და სხვ.

საჭიროა ჩვენც მოვემზადოთ მოსკოვის პიონერ-ორგანიზაციების მსგავსად ამ ანტირელიგიური დღესასწაულისათვის, გამოვუცხადოთ დაუნდობელი ბრძოლა რელიგიურ ცრუმორწმუნეობას, მღვდლებსა და „სააღდგომო“ ჩვეულებებს, დავრახმოთ უღმერთოთა რიგები.

კარნავალი კი უნდა მოეწყოს ჩირაღდნებით, პლაკატებით და ლოზუნგებით.

გავსწიოთ აღდგომის ღამეს თეატრებში, კლუბებში! საქმეში უნდა ჩავაბათ ჩვენი დები, ძმები, მეზობლის ბავშვები და მშობლებიც, რითაც მედგარ ბრძოლას გამოვუცხადებთ ტრადიციულ სააღდგომო ლოთობასა და გაუმაძღრობას.

სანი.



ამხ. აკ. მახათაძის სახელობის ნ. პ. კოლექტივი ტოლა-ხვანჭკარაში (რაკა-ლეჩხუმის მაზრა)



### აღამიანი, რომელმაც უარყო ლმობით

1809 წლის 12 თებერვალს ინგლისის ერთ პატარა ქალაქ შლოსბერში დაიბადა ადამიანი, რომელსაც წილად ხვდა ღვთის უარყოფა. ეს ადამიანი იყო ჩარლზ დარვინი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჩარლზი პატარაობიდანვე მეტად ღვთისმორწმუნე იყო. ცხრა წლის ყმაწვილი, როდესაც სკოლისკენ აქლოშინებული მივლიდა, ხანგამოშვებით შეჩერდებოდა გზა-გზა და სასოებით აღაპყრობდა თვალებს ზეციკენ, თან ბუტბუტებდა:

— ღმერთო ძლიერო, დამეხმარე, რომ სკოლაში არ დამავგიანდეს!

ამრიგად ჩარლზი ყოველთვის თავის დროზე მიდიოდა სკოლაში, დარწმუნებული იმაში, რომ კეთილი ღმერთი, რომელიც მაღალი გორიდან დაჰყურებს მას, მის მხარეზეა და მასწავლებლებს არ მისცემს საბაბს არასასურველი შენიშვნებისათვის.

მიუხედავად ამისა, ზეცამ ვერ შესძლო მიეცა საშუალება, რომ მას შეეთვისებია ის ბრძნული საგნები, რომელთა შორის უმთავრესად ითვლებოდა უძველესი ენები, ხელოვნება ლექსების წერის, რომ ჩარლზი გამხდარიყო ნამდვილი ჯენტლმენი. დანარჩენი მიეცინებოდა სკოლიდან განდევნილი იყო; მუდმივმა გაზეპირებამ დიდი ხნით დაუკარგა ჩარლზს მეცადინეობის ხალისი. სკოლაში ის უკანასკნელ მოწაფედ ითვლებოდა. სამაგიეროდ სკოლის გარეთ ამხანაგებში პირველი იყო, მაგალითად: ნადირობაში, თევზაობაში, აგრეთვე კალიების, პეპლების ჭერაში და სხვ...

— შენ შეარცხვენ მთელ ჩვენს ოჯახს, — გაანჩხლებული მიმართავდა მას მამა, — მუდამ ძაღლებთან დაეხეტები, იჭერ ვირთაგვებს და აგროვებ ყოველგვარ სისაძაგლეს.

ჩარლზს ძალიან უყვარდა მამა, ყოველთვის ცდილობდა მისი მორჩილი შვილი გამხდარიყო, მაგრამ ვერ შესძლო ასე გატაცებით ბუნების სიყვარულისა და დაკვირების უარყოფა. ამიტომ დიდის მორიდებით მოისმენდა რა მამის დარიგების, ტრიალებდა წიგნების კარადის ირგვლივ, გადაალაგ-გადმოალაგებდა წიგნებს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას და, როგორც მშობლები მოარიდებდნენ თვალს, იმ წამსვე გასხლტებოდა ოთახიდან.

ერთხელ გარეთ გამოსვლისთანავე აუსრულდა ჩარლზს წულისწადილი: მან დაინახა ორი გასაოცარი ბუნან-

კალი; გულისფანცქალით დაიჩოქა და სწრაფად დააფარა ხელი. ამ დროს მოესმა მესამე ბუნანკალის გმირული ბზუილი; ბუნანკალა თავგანწირვით დაეშვა დატყვევებული დედის თავზე, რომელიც ოდნევე მოსჩანდა ჩარლზის თითებიდან. ჩარლზი სიხარულით აკანკალდა, მას ასეთი მწერი — ფერადი ფერით და ლურჯი ზურგით — არასოდეს არ ენახა. მაგრამ რა უნდა ექნა? ჩარლზს ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა. ნუთუ გაუშვას დაჭერილი ბუნანკალები? ის ამაზე დიდხანს არ დაფიქრებულა, საჩქაროდ ჩაიგდო პირში ერთი მწერი და განთავისუფლებული ხელი ელვის სისწრაფით სტაცა მოფრენილ ლამაზ ბუნანკალას. მან მაშინვე იგრძნო ენაზე მწვავე ტკივილი, ხოლო პირში რაღაც გულის ამრევი წებოვანი სითხე. ამის შემდეგ ჩარლზი მთელი დღის განმავლობაში იფურთხებოდა და იწმენდა პირს.

არავითარი გასართობი არ შეედრებოდა მისთვის ტყეში ნადირობას. მაგრამ თვით ნადირობა როდი იზიდავდა მას; ბუნებით ჩარლზი მეტად ლმობიერი და შემბრალები იყო. მაგრამ როდესაც მას გარს ეხვეოდა ტყის მძაფრი გაკორდებული მიწა და ადამიანის ხმის უკანასკნელი ბგერა სწყდებოდა ზურგს უკან, სადაც რჩებოდა ასეთი ჩვეულებრივი, მისთვის არასაინტერესო ქვეყანა, — მას იტაცებდა ტყის უცნაური მიმზიდველობა. ის ყურს მიუგდებდა ულრან ტყეში გამეფებულ ხმებს, რომელშიაც ჩარლზი იჭერდა ნაცნობს და მისთვის გასაგებ ბგერებს; შესწოვდა მწყურვალე მკერდით რა უამრავ სურნელებას, დიდხანს შეჩერდებოდა ისეთი სახის საზღაპრო მკენარესთან, რომელიც ცდილობდა ტყის თხილების დაბურული ტოტებიდან მცხუნვარე მზისკენ გზის გაკაფვას.

— ერაზე, ყური მიგდე, — ნაღვლიანი ხმით ეტყოდა ჩარლზი თავის უფროს ძმას, — საკვირველია, რატომ ასე ნაკლებად უყვარს ხალხს ბუნება?

ჩარლზის მამა ამაოდ ფიქრობდა ცელქი შვილის გამოსწორებას, უკანასკნელად დარწმუნდა, რომ ის სკოლაში ვერაფერს ვერ შეიძენდა და გადასწყვიტა მღვდლად გამოეყვანა ის, მაგრამ ღმერთთან დაახლოვებისათვის მართო სურვილი არ იყო საკმარისი; საჭირო იყო უფრო რთული ხელოვნების შესწავლა, ე. ი. მორწმუნეთა „ჯოჯის“ მწყემსად გახდომა. და აი, ჩარლზმა უნივერსიტეტში ამოყო თავი.



სამი წელიწადი ემზადებოდა ჩარლზი სამღვდლოდ. მან დაამთავრა უნივერსიტეტი. ეხლა ის მზად იყო, თუმცა ჯერ კიდევ არ გრძობდა ხალხის სიბნელის, სისუსტისა და ნდობის სპეკულიანტად გახდომას. მაგრამ... მოხდა სასწაული — უდიდესი გარდატეხა... დარვინის ყველა ფიქრი დაიმსხვრა, რის შესახებაც შემდეგ ამბობდა:

— ამ მომენტიდან ჩემი სიცოცხლე მეორედ დაიწყო, — ეს იყო ჩემი ხელახლად დაბადების დღე...

ინგლისის მთავრობის დავალების თანახმად, სამხედრო გემი „ბიგლი“ ხუთი წლით უნდა გასულიყო ზღვაში. ამ გემის კაპიტანმა ფიცროიმ საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ ის თანახმაა თან წაიყვანოს ისეთი კაცი, რომელიც არა მარტო გამძლე, მამაცი და მასთან ახალგაზრდა იქნებოდა, არამედ ამ მოგზაურობას სამეცნიერო მიზნითაც გამოიყენებდა.

და, აი, დარვინი დაუყოვნებლივ გაჩნდა ფიცროისთან.

იმ ხანებში გავრცელებული იყო ეგრეთწოდებული „კვიანი“ თეორია, რომელიც სხვათა შორის ქადაგებდა, რომ ადამიანის ხასიათის გამოცნობა შეიძლებოდა მისი ცხვირით, თუ მას შეხედავდით გვერდით, პროფილში. კაპიტანი ფიცროიც ერთი ამგვარი სულელური თეორიის თაყვანისმცემელი იყო.

კაპიტანმა დიდის მორიდებით და პატივისცემით მიიღო დარვინი; ამავე დროს ის შეეცადა დარვინთან საუბრის დროს შეუმჩნეველად განეხორციელებია ხსენებული თეორია: ის სათანადო კუთხიდან უცქეროდა დარვინს და დაწვრილებით ათვალიერებდა მის ცხვირსა და პირისახეს.

„არა, — სთქვა კაპიტანმა, ეს კაცი მე არ გამომადგება: მისი ცხვირი რაღაც არ შეესაბამება კვიანი ადამიანის გამომეტყველებას“. და გადასწყვიტა უარი ეთქვა დარვინისთვის. მაგრამ ჩარლზთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ დარვინი არა მარტო შესამჩნევი მონადირე და საუკეთესო მსროლელი იყო, არამედ შეეძლო რამდენიმე დღე უსმელ-უჭმელიც გაეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ დარვინს არ აღმოაჩნდა ისეთი პირისახე და ცხვირი, რომელიც ფიცროისთვის მისაღები იყო, მან მაინც საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა, და კაპიტან ფიცროიმაც, მიაფურხა რა თავის თეორიას, წინადადება მისცა კაიუტაში დაბინავებულიყო.

კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს კაპიტან ფიცროის დარვინისადმი ასე მოპყრობისათვის.

ხუთი წელი დაჰყო დარვინმა თავის განთქმულ მოგზაურობაში. მან შემოიარა ამერიკა, ავსტრალია, აფრიკა, იყო აგრეთვე ატლანტიის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების უამრავ კუნძულზე. დარვინი არ იყო უბრალო ცნობისმოყვარე მოგზაური. მან პატარაობიდანვე შეიყვარა ბუნება და თავდავიწყებით დაეწაფა მის შესწავლას, ეხლა ამაში მას არავინ ეცილებოდა. ჩარლზი გაფაციცებით, დიდი დაკვირვებით და დაუღალავად არკვევდა დედამიწის ქერქის შედგენილობას, მიწიდან ამოთხრილი უხსოვარი

რი დროის ცხოველის ჩონჩხებს ადარებდა ცოცხალ ცხოველს, ათვალიერებდა და არკვევდა სხვადასხვაგვარი ფრინველების ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს, პოულობდა დედამიწის სხვადასხვა ადგილას მობინადრე ფრინველებსა და ცხოველებში დიდ განსხვავებას. ხუთი წლის განმავლობაში მან შეაგროვა და ჩასწერა უთვალავი და უმდიდრესი მასალა, ხოლო ინგლისში დაბრუნებისას დასახლდა ერთ პატარა წყნარ სოფელში, სადაც მთელ თავის სიცოცხლეში განაგრძობდა ამ მდიდარი მასალის დამუშავებას.

დარვინის წიგნის გამოსვლამ მთელი ქვეყნიერება შეანძრია. ყველა იმ დროის მეცნიერი ამტკიცებდა, რომ დედამიწაზე სიცოცხლის დამყარებაში უმთავრეს მონაწილეობას იღებს „უზენაესი ღვთიური ძალა“. დარვინმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ დედამიწაზე ცოცხალი არსებანი თვით აწყობენ თავის ცხოვრებას.

დარვინმა ნაპოვნი ჩონჩხები დაწვრილებით გამოიკვლია და დაამტკიცა, რომ უხსოვარ ხანაში არსებობდა ფრინველებისა და ცხოველების რამდენიმე ჯიში, რომლებიც სახლდებოდნენ დედამიწის სხვადასხვა ადგილას, სადაც ბუნების სხვადასხვა პირობები იყო.

ჩარლზ დარვინმა ახსნა და დაამტკიცა დედამიწაზე სიცოცხლის განვითარება და ცხადჰყო, რომ ადამიანი წარმოსდგა მაიმუნისგან.

დარვინის მოძღვრებას იმ დროის სწავლულნი, განსაკუთრებით სამღვდლოება, ზიზღით და უარყოფით შეხედდნენ.

დარვინის მეცნიერული კვლევა ერეტიულ და ღვთისმგმობელ მოძღვრებად აღიარეს, რომელსაც შეეძლო მხოლოდ გახრწნილება შეეტანა იმდროინდელ მეცნიერებაში. მაგრამ, მიუხედავად ამგვარი თავდასხმისა, დარვინის თეორიამ ღრმა ფესვი გაიდგა ყველგან და მისი შრომა გადაითარგმნა რამდენიმე ენაზე. ამჟამად კი დარვინის ნაშრომი საფუძვლად უძევს მთელი ქვეყნის სკოლებს.

— მე უარყავი და უკუყავდე ქრისტიანული სარწმუნოება ჩემი სიცოცხლის მეორმოცე წელს — უთხრა დარვინმა ერთ მეცნიერს.

— რატომ ასე დაგვიანებით? — ჰკითხა მეცნიერმა.

— მიტომ რომ წინად დრო არ მყოფნიდა ამაზე მეფიქრა

— მაინც რატომ უარყავით? — დაჟინებით შეეცადა მეცნიერი გაეგო ნაადვილი მიზეზი.

— არ არსებობს არავითარი ფაქტი და დამამტკიცებელი საბუთი, — უბრალოდ უპასუხა ბუნების საიდუმლოებათა მკვლევარმა.

იმ დროის ორმა ადამიანმა — დარვინმა და მარქსმა — ერთმანეთს გაუზიარა თავისი სამეცნიერო შრომები, რომლებმაც წინ წასწიეს კაცობრიობა.

ჩარლზ დარვინი გარდაიცვალა 1882 წლის 7 მარტს. ის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე განაგრძობდა თავის სამეცნიერო მუშაობას.





ოზურგეთის ეპოს ნ/პ კოლექტივი.

## რას წარმოადგენს „შობა“ და „აღდგომა“

საიდან წარმოიშვა ეგრეთწოდებული „ქრისტეს „შობა“ და „აღდგომა“?

ჯერ კიდევ უძველეს დროში, ქრისტიანობამდე, ადამიანები ამჩნევდნენ, რომ იყო ისეთი რამ, რაც უნდა დაემარხათ (მაშასადამე, უნდა მომკვდარიყო), რომ მერე კვლავ აღმდგარიყო—ეს არის ბუროს მარცვალი, რომელსაც მიწაში ჩათესავდნენ, ჩამარხავდნენ და ის კვლავ აღდგებოდა, ალალანდებოდა და ჰკვებავდა ხალხს. ძველად ბევრ ხალხს სწამდა მრავალი სხვადასხვა ღმერთი. მაგალითად, სირიაში სწამდათ **ოზირისი**, მცენარეების ღმერთი, რომელიც ყოველ წელიწადს კვდებოდა და მერე მკვდრეთით აღდგებოდა ხოლმე გაზაფხულზე, რასაც ხალხი დიდი ამბით დღესასწაულობდა. სწორედ ასეთივე ღმერთი ჰყავდათ ფრიგიაში—**ათისი**. საინტერესო ის არის, რომ ოზირისიც და ატისიც მკვდრეთით აღსდგებოდნენ ხოლმე მაშინ, როდესაც მზის სითბოს ზეგავლენით დედამიწა კვლავ ცოცხლდებოდა, ხეები ფოთლით იმოსებოდა, მცენარეები და მათ შორის საკვები მცენარეებიც ალალანდებოდა, ბუნება ცოცხლდებოდა (ე. ი. ნაყოფიერების „ღმერთი“ მკვდრეთით აღსდგებოდა.)

დავაკვირდეთ, ქრისტე როდის „აღდგება“ ხოლმე: სწორედ ამავე დროს, გაზაფხულზე, ბუნების აღდგომის, განახლების დროს. ატისის დღესასწაული იყო საგაზაფხულო ბუნიაობის დღეს, და სამღვდელოებამ სწორედ ამ დღეს შეუფარდა თავისი ქრისტეს „აღდგომა“. უნდა ითქვას ისიც, რომ ქრისტიანული და წარმართული უქმეებს—ღვთის სიკვდილსა და აღდგომას—დღესასწაულობდნენ არა მხოლოდ ერთსადაიმანვე დროს, არამედ ერთსადაიმანვე ადგილას—ფრიგიაში, გალიაში, რომში, ე. ი. იქ, სა-

დაც წარმოიშვა ატისის კულტი და ღრმად გაიდგა ფესვები.

რომში ლატერანის მუზეუმში ახლაც არის ატისის ქანდაკება, რომელიც ნათელყოფს, რომ ატისი მიწის ნაყოფების, კერძოდ ხორბლის, ღმერთია: ატისს ხელში უჭირავს თავთავები და სხვადასხვა ნაყოფი, თავზე ხეხილი აქვს, ქუდზე თავთავები მოჩანს. ატისს ეძახდნენ „ძლიერ ნაყოფიერს“, „მოჭრილ ყვითელ თავთავს“. ატისის აღდგომას სხვანაირად ეძახდნენ „სინარულის აღდგომას“, „ზოგიერთი ძველი მწერალი კი ქრისტეს „აღდგომის“ კვირადღესაც „სინარულის აღდგომას“ ეძახის. ეს შემთხვევით კი არ არის, ესეც იმას მოწმობს, რომ ქრისტეს „აღდგომა“ და ატისის (აგრეთვე ოზირისის—სირიაში) „აღდგომა“—ეს არის **გაზაფხულზე ბუნების გაცოცხლება, მცენარეთა აღმოცენების დაწყება, ეს არის ე. წ. „ნაყოფიერების ღმერთის“ მკვდრეთით აღდგომა.**

საინტერესოა შემდეგი ცრუმორწმუნოებითი წვრილმანიც: ატისის დედა, ნანა, ქალწული იყო, გულზე დაიდო ბროწეული და ამრიგად ეყოლა შვილი—ღმერთი. ქრისტეს დედა—მარიამი—აგრეთვე ქალწული იყო. საერთოდ, **ზღაპარი იმის შესახებ, რომ ღმერთების დედები ქალწულები იყვნენ, ძალიან უძველეს ხანაშიც იყო გავრცელებული.**

როგორც „აღდგომა“, „შობაც“ წარმართული დღესასწაულია, იქიდანაა ნასესხები. 25 დეკემბერი იულიანურ კალენდარში (ძველი სტილის კალენდარი) მზის დაბადების დღედ იყო მიჩნეული, ვინაიდან ამ დროიდან დღე მატუ-

ლობს, მზეს თანდათან ძალა ემატება. სპარსელებს სწადათ მითრა, რომელსაც „უძლეველ მზეს“ ეძახდნენ; მითრას დაბადების, შობის დღე იყო 25 დეკემბერი. ეკლესია ქრისტეს „შობას“ ქრისტიანობის პირველ ხანებში სრულიად არ დღესასწაულობდა, შემდეგ 6 იანვარი მიიჩნიეს „შობის“ დღედ და ასე გრძელდებოდა მე-IV საუკუნემდე, მაშინ კი „შობის“ დღედ 25 დეკემბერი აირჩიეს. აი რას ამბობს ამის შესახებ გულახდილად ერთი სირიელი ქრისტიანი მწერალი: „6 იანვრის დღესასწაული (ე. ი., „შობის“) 25 დეკემბერზე აი რატომ გადაიტანეს მამებმა\*: იყო წარმართული დღესასწაული — 25 დეკემბერს უქმობდნენ მზის დაბადებას; ამ დღეს ანთებდნენ ჭალებს ზეიმის ნიშნად. ზეიმში ქრისტიანებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ამის გამო შეიკრიბნენ ეკლესიის სწავლულნი და დაადგინეს ქრისტეს დაბადება ამ დღეს ეუქმათ და არა 6 იანვარს“. ერთი ძველი ქრისტიანიც ამბობდა, საშინელებაა, რომ შობას დღესასწაულობდნენ „ახალი მზის“ დაბადების აღსანიშნავად და არა ქრისტეს დაბადების გამოა.

როგორც ვხედავთ, „შობა“ არის მზის დაბადება, ხოლო „აღდგომა“ — ბუნების აღდგომა. ამრიგად, ქრისტიანულმა სამღვდლოებამ მოხერხებულად გამოიყენა წარმართული დღესასწაული — მზის დაბადება — „შობისთვის“ და ფრიგიელების ატისი — „აღდგომისათვის“, რომ უფრო კარგად ეყვლინა მშრომელი ხალხი, მუდმივ სიბნელესა და უმეტრობაში ყოლოდა ის.

ისარი.

## მზის კვაყანაუი

### ზანგებთან.

მშვიდად გაიარა მთელი ატლანტიკური ოკეანე და ყველას საფრთხე — ბისკაის უბე — ლამაზმა გემმა „ლივიამ“, რომელიც ინგლისს ეკუთვნოდა.

მერე გამოჩნდა მწვანით დაფარული ლამაზი კუნძულები და დასავლეთ აფრიკის უდაბნო ნაპირები. მეტად უცნაური სახელები აქვთ ამ ნაპირებს: პილპილის ნაპირი, სპილოს ნაპირი, ოქროს ნაპირი. ეს სახელები იმის მიხედვითაა, თუ რას ვაჭრობენ ნაპირის მცხოვრებნი. პილპილის ნაპირი ვანთქმულია თავისი პილპილით, სპილოსი — სპილოს ძვლით და სხვა. „ლივიამ“ ჩაუარა ამ ნაპირებს და ბოლოს შეჩერდა აფრიკის სამხრეთ ნაწილში, სწორედ იმ ადგილას, სადაც სამხრეთ აფრიკის დედაქალაქი კაპშტადტია. მოგზაურნი, დალილინი დიდი ხნის მგზავრობით, ცუდ გუნებაზე იყვნენ; როცა გემი შეჩერდა, გამხიარულდნენ და სიამოვნებით დაიწყეს მათთვის უცნობი მხარის გასინჯვა.

მაგრამ ეს სიხარული უდროო გამოდგა, რადგან სწორედ იმ ადგილას, სადაც ნარინჯი მდინარე უერთდება ოკეანეს, გემი წყალქვეშა კლდეს დაეჯახა. საყვირმა ამცნო მგზავრებს საფრთხე. ყველანი შეშინებულნი აცვივდნენ ბაქანზე. თითქმის ერთ წუთში დაიტაცეს საშველი წრეები. წრეებით შეიარაღებულნი ცვივოდნენ წყალში, რომ როგორმე ნაპირამდე მიეღწიათ.

ბნელოდა. წინ არ ჩანდა სინათლე. ეტყობოდა, ნაპირი უდაბნო იყო. გემი ამ დროს ნელა-ნელა იძირებოდა. ნათლად ისმოდა, როგორ შხუოდა გემის ძირში წყლის შევარდნილი ნაკადი. შეშინებული და გონებადაკარგული ადამიანები ერთმანეთს ჰგლეჯდნენ ხელში საშველ წრეებს და უაზროდ ისროდნენ ავეჯს და ბარჯს წყალში. ყველაზე მეტად ღელავდა ჯონ რიფლინგი, ამერიკის საკონსულოს მდივანი კაპშტადტში.

მან მუშტი-კრივით წაართვა ერთ მგზავრს წრე. ჯონი გადახტა წყალში. ციოდა და საშინელიც იყო. უბედურება მას აშავრებდა და ღონეს უმატებდა... 15 წუთის შემდეგ უკვე იგრძნო ფეხ ქვეშ ქვიშა.

და როცა იგი წყლიდან ამოვიდა, ქვაზე ჩამოჯდა. ჩაფიქრდა. იგი მარტოდ იყო. მხოლოდ ტალღების ღრიალი ისმოდა. დაღუპულთ ღრიანცელი შესწყდა. ეტყობოდა, რომ გემი და მოგზაურები უკვე ჩაყალბა ოკეანეში. ისინი, ვინც გადაარჩა, ახლო სადმე ნაპირზე იხსდნენ, მაგრამ მათი ხმაური არ ისმოდა.

ფიქრებში გართულ და დალილ ჯონს ჩასთვლიმა, და ვერ გაიგო, რომ სიბნელიდან ორი ჩრდილი მიეპარა. თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრო, რომ ხელები შეუჭრეს, თვალები აუხვიეს და გაიტაცეს ღამის სიბნელეში.

დიდხანს ატარეს იგი გაუფალ ტყეში. ხშირი ტოტების და ფოთლების მიხედვით ჯონი გრძნობდა, რომ ის მაგნოლიების ტყეში მიდიოდა იცოდა ჯონმა, რომ ამ ლამაზი მცენარეების ტყე სამხრეთ აფრიკაშია, მხოლოდ ეხლა ვერ მიმხვდარიყო, თუ აფრიკის რომელ ადგილას იყო.

ჩქარა ტყე შეთხელდა. ჯონმა იგრძნო, რომ ის რომელიღაც სოფელში მიიყვანეს.

უცნობმა და ხმამალალმა ყვირილმა გააკვირვა. როცა თვალი აუხსნეს, შიშით კანკალმა აიტანა: იგი ზანგების სოფელში იყო.

პატარა მოედანზე იდგა ერთმანეთთან მიდგმული ორმოცდაათამდე მრგვალი ქოხი წაწვეტებული სახურავებით. ქოხების კედლები ჩალისა და ფოთლებისა იყო, ჩალითვე დახურული. თითოეულ ქოხს წინ ღობე ჰქონდა ღამე საქონლის შესარეკად, ჩვენებური ბაკივით. ქოხებთან ლანდებივით დადიოდნენ შავი კაცები, რომელთაც მხოლოდ წელქვეით ჰქონდათ ტანი დაფარული. ერთი ქოხი, სხვა ქოხებზე დიდი, მორთული იყო სხვადასხვა ფერის ნაჭრებით. შესავალთან სელის თოკზე თავები ეკიდა. ეტყობოდა, ეს ადგილობრივი მთავრის სასახლე იყო.

— საშინელებაა! — იფიქრა ჯონმა.

შავკანიანებმა ჯონი ერთ ქოხში შეაგდეს და კარები მაგრად მიუკეტეს. დალილ-დაქანცული ჯონი არეული ფიქრებით დაეცა ჩალაზე და ჩაიძინა.

### ნახევრად შექმული ჯონი.

ჯონი დილით დიდმა ხმაურობამ გააღვიძა. მის ქოხთან შეგროვილიყვნენ ზანგები და ხმაურობდნენ. ჯონი შიშმა აიტანა.

— გამარჯობა, — სთქვა ვილაცამ უკან.

ჯონი მაშინვე მიბრუნდა და დაინახა შემოსული. ის იყო მოხუცი ზანგი, მეტად დაბალი.

— გთხოვთ გამობრძანდეთ, — სთქვა მანვე.

იგი კარგად ლაპარაკობდა ინგლისურად. ამან ძალიან გააკვირვა ჯონი. მას უნდა ეკითხა, თუ საიდან იცოდა ასე კარგად ეს ენა, მაგრამ ზანგმა გადაწვეტიით მოჰკიდა ხელი და გაიწია.


(გაგრძელება იქნება)

\*) სამღვდლოებამ.


# როგორ მოვახადოთ თვითონ განაყოფისათვის

ზუღაზი, ნაჯახი და ბარაზი.

უნაჯახოდ და უბაროდ ბანაკში ყოფნა შეუძლებელია. ეს კარგი დროა იმისთვის, რომ ხელმძღვანელმა შეასწავლოს ბავშვებს მესანერგობის მთავარი ხერხები. უჩვენეთ მათ, თუ როგორ უნდა გაითალოს ძელები, როგორ შეიძლება მათი სწრაფად გადაჭრა, როგორ უნდა წაიმხვოს სარები, როგორ უნდა მოჭრილ ხეს წაქცევა და სხვ. სასანგრო ბარის მოხმარების უნარსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. დეე, ბავშვები მით ხშირად სარგებლობდნენ. ისეთი სამუშაოების, შესრულება როგორცაა საბანაკო მაგიდის, საპირფარეშოს, სარდაფის და სხვათა მოწყობა, ბარით შეიძლება. საჭიროა მხოლოდ ბავშვების ცვლა, რომ ისინი არ იღლებოდნენ და რომ ყოველ მათგანს შეხვდეს თუნდაც ცოტა რამ გასაკეთებელი.



ერთი რგოლისთვის საჭიროა ორი ნაჯახი და ერთი სასანგრო ბარი, რომელნიც, ბუდეებში ჩადებულნი, მიმაგრებულნი არიან ქამარზე. ბავშვებს მშვენივრად შეუძლიათ თვითონ შეკერონ ბუდეები. სურათზე ჩვენ ვიძლევით ნაჯახის (2 სურ.) და ბარების (1 სურათი) ბუდეების თარგებს. ბავშვებმა რომ ტყუილა-უბრალოდ არ გააფუჭონ მასალა, შეასწავლეთ მათ თავდაპირველად გააკეთონ ქალღლისაგან თარგები და მერე იმაზე ასკრან ქსოვილი. სქელი ბრეზენტი გასანთლოული ძაფით უნდა შეიკეროს. უჩვენეთ ბავშვებს, როგორ კეთდება გასანთ-



ლოული ძაფი მსხვილი ძაფისაგან — ეს გამოადგებათ მათ შემდგომ ბანაკში ფეხსაცმელების კერვის დროს.

## მათარა („ფლიაეკა“)


გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მათარა პიონერებისათვის ზედმეტი ბარგია: მით იშვიათად სარგებლობენ, ვინაიდან ლაშქრობაში წყლის სმა აკრძალულია, ხოლო ბანაკად, ჩვეულებრივ, მდინარესთან ეწყობიან. საკმაოა თითო რგოლზე ვიქონიოთ 3 მათარა, ასე რომ ყოველ სამ პიონერზე დაახლოებით ერთი მათარა მოდის. წყურვილის მოკვლის საუკეთესო საშუალებაა ცივი ჩაი. თუ რგოლს 3 მათარა ჩაი ექნება, ეს საკმარისი იქნება ყოველგვარი ლაშქრობისათვის.

მათარა შეუძლიათ თვითონ პიონერებმა გააკეთონ. ამისათვის საჭიროა სქელი ბოთლის შოვნა და ქსოვილის ბუდეში ჩადება. ბოთლის ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ თქვენ აიღებთ რგვალ ბოთლს, ის სიარულის დროს ხტომას დაიწყებს და ძალზე შეაწუხებს ბავშვებს. შეძლებისდაგვარად უნდა ვიშოვოთ ბრტყელი ბოთლები, ვინაიდან სატარებლად უფრო მოსახერხებელია. ყველაზე კარგია ოდეკოლონის ბოთლები: ძალზე მავარი და ხშირად ბრტყელიცაა. მათარებისათვის უნდა შეიკეროს ბუ-


დეები სქელი ქსოვილიდან — ყველაზე უკეთესია მახარის ნაცრისფერი მალდი. მათარას თანმით ატარებენ მხარზე. თანმის მაგივრად ბავშვებს შეუძლიათ ტილოს ზონრები გაუკეთონ. საცობი მათარას მიმაგრებული აქვს ბაწრით, ვინაიდან გზაზე საცობის დაკარგვა ადვილი შესაძლებელია, ახალის შოვნა კი არც ისე ადვილია. უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ბავშვებს შეუძლიათ კარგი საცობის დანით გამოქრა რომელიმე რბილი ხისაგან, მაგალითად, ტირიფისაგან.

## სალაშქრო აფთიაქი.


თავიდანვე მოემზადეთ სალაშქრო აფთიაქის მოსაწყობად. აფთიაქისათვის გააკეთეთ პატარა ყუთი, რის ტარებაც (მხარზე) მოხერხებულად შეიძლება. მისი გაკეთება შეიძლება თხელი ფანერისა ან სქელი მუყაოსაგან. სურათი № 3 გვიჩვენებს, თუ როგორ



უნდა მოიღუნოს მუყაო. პუნქტირით ნაჩვენებია. ის ადგილები, რომლებიც ოდნავ უნდა ჩაიჭრას, ვინაიდან სწორედ აქ გადაიღუნება. სურ. № 4 გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გადაიღუნოს მუყაო. გადაღუნული მუყაო ძაფით იკერება (ძაფი სულ გავა მუყაოში). ამის შემდეგ ყველა გადაღუნულ ადგილს ეწყებება ვიწრო კოლენკორი, ხოლო სახურავს



შიგნითაც. როდესაც ეს გაკეთდება, მთელ აფთიაქს გადაეკრება გარედან ნაცრისფერი ქსოვილი ან და მუშაშაშა („კლიონკა“) და შიგნიდან თეთრი ტილო. შიგ შეიძლება გაკეთდეს განყოფილებანი ბამბისათვის, მარლისათვის და ბინტისათვის, მუშაშაშისა და წამლებისათვის. ისეთი ნივთები, როგორცაა პატარა მაკრატელები და პინცეტი, სახურავზე რეზინებით ან ზონრებით მაგრდება. წინ, სახურავზე (იხ. 5 სურ.), დახატეთ თეთრი ფარი წითელი ჯვრით. აფთიაქს თანმით გადაიკიდებენ მხარზე და ისე დააქეთ.



გამოდის

1929 წ.

გამოდის

საყმაწვილო დასურათებულ

→ ჟურნალები ←

მოსკოლისათვის

# პიონერი

ორკვი-  
რეული

IV წ.

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.

ექვს თვეს — 3 მან.

სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მცირეფორმათათვის

# „მკშომგობელი“

ყოველ-  
თვიური

II წ.

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „მკშომგობელი“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.  
ნახევარი წლით — 2 მ.

ცალკე ნომერი — 35 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახელგამი. ახალგაზრდათა  
სექტორი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „მკშომგობელი“-ს რედაქცია.